

ამირან ზენაიშვილი

**ადგილობრივი თვითმმართველობის  
კოდექსის კომენტარები**  
(საქართველოს ორგანული კანონი)

თბილისი  
2014

UDC 342.9 (479.22) (094.4)

ზ-53

ფინანსური მხარდაჭერები:



**ამირან ზენაიშვილი**

**აღვლელთა მემორიალური კოლეჯის კომენტარები**

დიზაინერი

თეა აკობია

*Designed by*

Thea Akobia

© ამირან ზენაიშვილი. 2014

Amiran Zenaishvili. 2014

© „საუნჯე“, გამომცემელი ვაჟა წონკოლაური

SAUNJE publishing house, Vazha Tsotskolauri

ISBN 978-9941-0-6484-5



saungeo@gmail.com

დაბეჭდილია გამომცემლობა „საუნჯის“ სტამბაში

Printed in Tbilisi, Georgia. By SAUNJE publishing house

## სარჩევი

1. ავტორისგან.....	5
By the Author.....	6
2. შესავალი.....	7
3. აღმოსავლეთ პარტნიორობის როლი თვითმმართველობის განხორციელების დემოკრატიულ პრინციპებთან .....	14
4. ადგილობრივი თვითმმართველობა .....	35
5. მუნიციპალიტეტის ორგანოები .....	64
6. საქართველოს დედაქალაქი – თბილისი .....	126
7. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და დასახლების საზოგადოებრივი საბჭო..	153
8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და ეკონომიკური საფუძვლები..	160
9. სახელმწიფო ზედამხედველობა, აუდიტი და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა.....	203
10. მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება.....	218
11. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები.....	233
12. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ .....	256





## ავტორისგან

მოქალაქეთა უფლება – მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში ქვეყნის დემოკრატიულად განვითარების სანდარტად, იგი ღრმადაა ფესვგადგმული საზოგადოებასა და ქვეყნის კულტურაში, ადგილობრივი ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოების სერვისების უკეთესად განაწილების უზრუნველყოფის რეალიზება ყველაზე ეფექტურად ეს უფლება რეალიზდება სწორედ ადგილობრივ დონეზე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების პირობებში, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა და შესაძლებლობა უზრუნველყონ ეფექტური და ამასთან მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა, ტერიტორიული ადმინისტრაციის რთული მექანიზმი მთლიანობაში უნდა იქნეს მოყვანილი მნიშვნელოვან ეკონომიკურ ასპექტებთან თავის ურთიერდამოკიდებულ ნაწილებთან ერთად. ხელისუფლების უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული თვითმმართველობა გაზრდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პასუხისმგებლობას, რაც პირდაპირ ორიენტირებულია ეროვნულ ინტერესებზე. სამწუხაროა, რომ ამ უფლების სრულად რეალიზება საგარეო და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სრულად ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, თუმცა მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტმა, რომელიც კანონად იქცა, ამ მიზნის რეალიზების ნება გამოავლინა, მხოლოდ სამართლებრივი ნორმების მეშვეობით აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია, საჯარო სახელისუფლებო ორგანოების მოქმედება მოსახლეობის ხედვასთან მიახლოებით და კულტურული განზომილების ფარგლებში ჰარმონიულად უნდა განხორციელდეს. წინამდებარე კომენტარების მიზანია წარმოაჩინოს ორგანული კანონის სულისკვეთება, მასში გაზიარებულია განვითარებული ევროპული ქვეყნების გამოცდილება, საერთაშორისო ავტორიტეტული ინსტიტუტების რეკომენდაციები, შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია პრიორიტეტების სამართლებრივი რეგულაციების უპირატესობები, გაანალიზებულია ევროსაბჭოს რეკომენდაციები, მოშველიებულია ავტორის მოხსენებები და პოზიციები კანონთან დაკავშირებით.

## By the Author

The right of citizens to participate in leading the public affairs, is a precondition for a country's democratic development. This right is rooted deeply in the society and culture of the country and, proceeding from the local interests in securing a better distribution of social services, can be implemented in the most effective manner on a local level by the local authorities, since they bear a real responsibility for and have the opportunities to ensure an effective governance that would meet better the local needs. A complex mechanism of a territorial administration must be harmonized with the important economic aspects, with its interrelated components. The main goal of the government should be formation of a strong civil society. The local self-governance based on the principles of decentralization of the state power, will increase a responsibility of population of a municipality, which is directly focused on the national interests. It is unfortunate that at the current stage, a comprehensive implementation of this right cannot not fully achieved owing to foreign and geopolitical situation, however, the draft law proposed by the government that has then become the law, demonstrates a desire of realization of this goal. However, to achieve at it just by the legislative norms is impossible. Activities of the governmental authorities must be approached to the visions of the population and implemented harmoniously within the cultural frameworks. A purpose of the present comments is to portray a spirit of the organic law where an experience of the developed European countries, the recommendations of the authoritative international institutions are shared, the benefits of a legal regulation of priorities is underlined on the basis of comparative studies, the EC recommendations are analyzed and the author's reports and position regarding the law are provided.

## შესავალი

საქართველომ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ გახდომის შემდეგ მიიღო არაერთი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურის მოწყობის, მისი სამართლებრივად მდგრადი ფუნქციონირებისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების მიზნით. ეროვნული კანონმდებლობის მორგება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიისთვის (შემდგომში ქარტია)<sup>1</sup> სხვა საფუძვლებთან ერთად განაპირობა იმ გარემოებაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არ იყო სათანადოდ აღიარებული ადგილობრივი უფლებების თვალსაზრისით კანონის უზენაესობის ფუნდამენტური კომპონენტი და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა. ქარტიის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები უნდა აღიარონ შიდა კანონმდებლობით და შესაძლებლობების შემთხვევაში, კონსტიტუციით, იგი გულისხმობს ხელისუფლების ისეთი დემოკრატიული გზით შექმნილი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციის განხორციელებისა და ამისათვის აუცილებელი სახსრების მხრივ, ასევე უფლებამოსილი არიან ადგილობრივ საკითხებზე მაღალი ლეგიტიმაციის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა. უდავოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის ბევრი ასპექტი საჭიროებს დახვეწას, პერიოდულ შესწორებასა და მისადაგებას მზარდი გარემოებებისადმი. შედარებითი კვლევები ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის გაუმჯობესება გრძელვადიანი გამოწვევაა, ამიტომაც წარმოადგენდა საქართველოს სახელისუფლებო პირების ზრუნვის საგანს სისტემის დემოკრატიულად ინსტიტუციური მოწყობა.

განსახილველი ორგანული კანონი, რომლის ავტორია საქართველო

---

<sup>1</sup> ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოსთან მიმართებაში ძალაშია 2005 წლის 1 აპრილიდან, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004 წლის N 515 – II ს დადგენილებით, სტრასბურგი, 15.X.1985. საქართველო არ შეერთებია ქარტიის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტს, მე-5 მუხლს, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს, მე-6 მუხლის მე-9 პუნქტს, მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს.

ველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო ინიციატორი საქართველოს მთავრობა – სამთავრობო პროგრამით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, შეისწავლა თვითმმართველობის რეფორმის განხორციელებასთან, ეფექტიანი თვითმმართველობის სისტემის შემოღებასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა, გაანალიზდა საქართველოს გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და მენტალური თავისებურებები და საქართველოს გამოცდილება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხვადასხვა პერიოდის მონაცემების მოდელისა. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების, ადგილობრივი პირობებისა და მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, გადამწყვეტას უზრუნველყოფს საქართველოში საჯარო მმართველობის სისტემის დემოკრატიზაცია, დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ორგანული კანონის ავტორის განმარტებით, არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გათვალისწინებით ორგანული კანონის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ეტაპობრივი რეფორმის უზრუნველყოფა, მყარი საკანონმდებლო საფუძვლებით, რაც გულისხმობს: ა) ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების კოდიფიცირებასა და თავმოყრას საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომელიც წარმოადგენს დამატებით გარანტიას კანონმდებლობის მდგრადობის, ასევე კოლიზიებისა და წინააღმდეგობრიობის თავიდან ასაცილებლად; ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაციის განხორციელების ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას, გ) თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის, თვითორგანიზების, დასახლებებში საზოგადოებრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბების საკანონმდებლო საფუძვლების შექმნას, მათ შორის, თბილისში თვითმმართველობის დაახლოებას მოსახლეობასთან; დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ინსტიტუციური მონაცემების ქმედითი მოდელის შექმნას, სადაც მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით არჩეული გამგებლის (მერის) ძალაუფლება დაბალანსდება ძლიერი და ქმედითი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ; ე) ადგილობრივი

თვითმმართველობის საკუთარი კომპეტენციების მკაფიოდ განსაზღვრას, მომსახურების ერთიანი მინიმალური სტანდარტების თანდათანობითი შემოღებით, უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით, მუნიციპალიტეტებში შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერით; ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური ავტონომიის გამყარებას – სწრაფვას თვითკმარი, თვითმმართველი ერთეულების შექმნისაკენ; ზ) სახელმწიფო ზედამხედველობის პროცედურების დახვეწას, მათ შორის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში ზედამხედველობის განხორციელებისას; თ) რეგიონში არსებული მართვის მოდელში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრებას. რეგიონული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი თვითმმართველობების მონაწილეობის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებას, თვითმმართველობათა გაერთიანებების შექმნის გზით; ი) ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციურ განვითარებას და მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას; კ) თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდას<sup>2</sup>.

ორგანული კანონის ავტორის განმარტებით ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემები გახდა კანონპროექტის მიღების მიზეზი. 2004-2005 წწ. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, თვითმმართველობის უფლება დაკარგა 1000-ზე მეტმა თვითმმართველმა ერთეულმა (ქალაქმა, დაბამ, თემმა და სოფელმა), მათ შორის 13 ქალაქმა, 15000-ზე მეტი მოსახლეობით (ზუგდიდი, გორი, სამტრედია, ხაშური, სენაკი, ზესტაფონი, თელავი, მარნეული, ოზურგეთი, ქობულეთი, ახალციხე, წყალტუბო, კასპი) და 7 ქალაქმა 10000-დან 15000-მდე მოსახლეობით (ტყიბული, ბორჯომი, ჭიათურა, საგარეჯო, გარდაბანი, ხონი, გურჯაანი). სანაცვლოდ, თვითმმართველი ერთეულები შეიქმნა ყოფილი რაიონული მმართველობის საზღვრებში, ყოველგვარი ადგილობრივი, გეოგრაფიული, ტრადიცი-

---

2 განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

ული, ინფრასტრუქტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინების გარეშე, რამაც რეალურად დაამორა ადგილობრივი მოსახლეობა თვითმმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობას. მაგალითისთვის, საქართველოს თვითმმართველ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება ანალოგიურ საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. მნიშვნელოვანი შეუსაბამობაა ასევე საქართველოს თვითმმართველი ერთეულების საშუალო ფართობის მაჩვენებელსა და საშუალო ევროპულ მაჩვენებელს შორის. მსხვილი თვითმმართველი ერთეულების საზღვრებში ქალაქისა და სოფლის, მთისა და ბარის მოსახლეობის განსხვავებული ინტერესები და საჭიროებები ადეკვატურად არ აისახება თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და განხორციელებულ პროექტებში. ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯების ანალიზი აჩვენებს ქალაქსა და სოფელს შორის საბიუჯეტო ხარჯების გადანაწილების შეუსაბამობას. სოფლებში გადაუჭრელია ინფრასტრუქტურული და სხვა ყოფითი, საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები, რაც აისახება როგორც აგრარული სექტორის განვითარებაზე, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მეორე მხრივ, თვითმმართველი ქალაქის იურიდიული სტატუსის და აქედან გამომდინარე, ქალაქის არჩევითი თვითმმართველობის ორგანოებისა და საქალაქო ბიუჯეტის არარსებობის პირობებში ვერ ხერხდება საშუალო და მცირე ქალაქების ურბანულ განვითარებაზე ორიენტირება. დღევანდელი თვითმმართველობა მოსახლეობის ყოფითი და ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრის ეფექტური მექანიზმების არქონის პირობებში ძირითადად იქცა პოლიტიკურ ინსტიტუტად, რომლის მთავარი ფუნქცია არჩევნებზე ცენტრალური ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგების უზრუნველყოფაა, მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა სოფლის, დაბის, თემის, ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და თვითმმართველობაში რეალური მონაწილეობის ინსტიტუციურ მექანიზმებს; ხარვეზებს შეიცავს თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის მოქმედი მოდელი. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომელთა დეკლარირებულ მიზანს საკრებულოს როლის გაძლიერება წარმოადგენდა, პრაქტიკაში ასახვა ვერ

ჰპოვა. სამაგიეროდ, კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა საკრებულის თავმჯდომარესა და გამგებელს (მერს) შორის უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხი. გართულდა ადგილობრივ დონეზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის - რეალური პოლიტიკური ლიდერის იდენტიფიკაცია; თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდას. მოლოდინი კოდექსის ინიციატორისა გახლავთ ის, რომ: გაიზრდება მოქალაქეების ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი; ჩამოყალიბდება ორდონიანი თვითმმართველობა; ადგილებზე სასიცოცხლო ინტერესების გადაწყვეტა გაზრდის საზოგადოების პასუხისმგებლობას, რაც ხელს შეუწყობს ცალკეული ჯგუფების ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირების ალბათობის შემცირებას; ადგილზე შეიქმნება ინიციატორ პირთა გამოვლენისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ქვეყანაში (საჯარო სამსახური, პოლიტიკური პარტიები და სხვა) კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევის პროცესს<sup>3</sup>.

ევროსაბჭოს შეფასებით ნებისმიერი სახის ახალი მოდიფიკაცია უნდა ეფუძნებოდეს არსებული სისტემის დეფექტების გონივრულ ანალიზს და რეფორმის მიზნების ნათელ აღწერას, კოდექსის მიზანს წარმოადგენს თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდა და სახელმწიფოს ოპტიმალური ტერიტორიული სტრუქტურის შექმნა, რათა უკეთესად მოარგონ ის არსებულ ადგილობრივ ტრადიციებს და სამომავლო განვითარების საჭიროებებს. კონკრეტულად საქართველოს მაგალითზე, სრულად გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყანისთვის, რომელიც ახორციელებს ამბიციურ ინსტიტუციურ ცვლილებებსა და სამართლებრივ რეფორმებს, მსგავსი მცდელობის წარმატება დამოკიდებულია როგორც დაინტერესებული მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მათი მასშტაბების მიღებასა და შესრულებაზე, ასევე გათვალისწინებული ცვლილებების პრაქტიკულ და ეფექტურ განხორციელებაზე. მაშასადამე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა

---

<sup>3</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“



მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შეთავსებას ევროპულ წესებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან, არამედ მოსახლეობისა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მონაწილეობას აღნიშნულ გარდამავალ პროცესში და, ასევე ახალი სტანდარტებისა და რეგულაციების სრულად და ეფექტურად განხორციელების პოტენციალს. ევროკავშირმა საქართველოს ადრეც შესთავაზა ახლად შექმნილი „რაიონების“ სტატუსის შეცვლა, რათა უკეთესად დალაგებულიყო პოლიტიკური ურთიერთობები „ცენტრსა“ და დიდი კომუნების „გარე ნაწილებს შორის,“ ასევე, კომუნის მთელ ტერიტორიაზე საჯარო მომსახურების თანაბრად უზრუნველყოფის მიზნით. ევროკავშირს არაფერი არ აქვს იმ პროექტის სანინალმდეგო, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების ხელახალ ფორმირებას და რომელიც წარმოადგენს დემოკრატიისა და ეფექტურობის გაძლიერებას მუნიციპალურ დონეზე<sup>4</sup>, საქართველომ ქება დაიმსახურა მასშტაბური ტერიტორიული რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული დაბრკოლებების გადალახვის გამო. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმებს დიდი ალბათობით ხანგრძლივი ეფექტი ექნება, თუ მასში ჩაერთვებიან სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები (პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები, ასოციაციები): რაც უფრო ფართოა კონსენსუსი, მით უფრო წარმატებულია რეფორმა. ასეთი რეფორმა პოლიტიკური უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებს უნდა ექვემდებარებოდეს, ვინაიდან ძირითად მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების სტრუქტურისა და პოლიტიკური წესებისა და მისიების სტაბილიზაცია. ევროსაბჭო მიესალმება ისეთი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შემუშავებას, რომელიც ახდენს კანონმდებლობის კონსოლიდირებას უნიკალურ ორგანულ კანონში, კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად. კოდექსში წარმოდგენილი მიზნები უფრო ამბიციურია. მათი მიზანია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის სრული მოდიფიკაცია, თუმცა ევროსაბჭოს შეფასებით განმარტებით ბარათში ცოტა რამ არის მოცემული ტერიტორიული ორგანიზაციის შემდეგი

4 <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=784351>



მოდელის შესახებ. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი კოდექსის პროექტის პირველ თავში, რომელიც არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას, რა ზომის უნდა იყოს მომავალი მუნიციპალიტეტები და არ აღწერს პროცედურებს ისეთი ამბიციური მიზნის განსახორციელებლად, როგორცაა ადგილობრივი თვითმმართველობის მესამე მოდელის შექმნა საქართველოში. ეს არის რადიკალური გარდაქმნა, რომელიც მხოლოდ მუნიციპალიტეტების ახალი რუქის შექმნას არ ეხება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინ გადადგმულ ახალ ნაბიჯს. აკადემიური კვლევები ისევე, როგორც ემპირიული დაკვირვება, ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არსებითი ასპექტების (ზომა და საზღვრები, კომპეტენციები, საარჩევნო პროცედურები და ა.შ.) ხშირი მოდიფიკაცია ავტომატურად არ აუმჯობესებს მის ეფექტურობას, მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდებას და ზოგად ინტერესს სხვა მისიების შესასრულებლად. საბოლოოდ საქართველოს მთავრობის მიერ კოდექსის განმარტებითი ბართის წარმოდგენა ადასტურებს იმას, რომ მთავრობას სრულად გაანალიზებული აქვს ზემოთ თქმული, გარკვეული შენიშვნების გათვალისწინებით კოდექსის სულისკვეთება გაზიარებული და მოწონებულია<sup>5</sup>.

---

<sup>5</sup> საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შეფასება – ევროპის საბჭო – დეკემბერი, 2013 წ.

## აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ასოცირების შესახებ შეთანხმების რილი თვითმმართველობის განხორციელების დემოკრატიულ პრინციპებთან

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“<sup>1</sup> როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპულ მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატი წარმოადგენს შვედეთისა და პოლონეთის ინიციატივას. სახელმწიფოს/მთავრობის მეთაურებმა „ვილნიუსის სამიტზე“ შეიმუშავეს ერთობლივი დეკლარაცია, (Joint Declaration) რომლითაც დაისახა მომავალი ორწლიანი ურთიერთობის გეგმა, იგი ასახავს ევროკავშირისა და ექვსი პარტნიორი ქვეყნის საერთო ფასეულობებსა და პრინციპებს. მისი მთავარი მიზანია ევროპულ პარტნიორობთან ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება და მისი აღმოსავლეთ განზომილების გაძლიერება. პარტნიორობის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო პრინციპებისა და ფუნდამენტური ღირებულებების ერთგულება, რომელთა შორისაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა. ვილნიუსის სამიტის მონაწილეებმა განსაზღვრეს ის მიზნები, რომლებიც პარტნიორობამ 2015 წლისთვის უნდა განახორციელოს, მათ შორის: შემდგომი ნაბიჯების გადაგმა დემოკრატიის გაძლიერებისა, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფას, ასევე ბიზნესის განზომილების გაძლიერება, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ და რეგიონულ, მცირე და საშუალო საწარმოებს. დემოკრატიული განვითარება და ინსტიტუტების მშენებლობა, ინტელექტუალური, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა და ეკონომიკური განვითარება უმთავრეს პრიორიტეტებად რჩება<sup>2</sup>. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონფერენციის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მოქალაქესთან ყველაზე ახლოს მყოფ ხელისუფლების

1 უკრაინა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა.  
2 2011-2013 წლებში და 2014-2015 წლების დღის წესრიგი, ვარშავის სამიტიდან ვილნიუსის სამიტამდე განხორციელებული ქმედებები-პროგრესი.

შესაბამის დონეებთან თანამშრომლობის განვითარების კუთხით<sup>3</sup>.

მონაწილე ქვეყნების სამოქალაქო სექტორის ქმედუნარიანობის ზრდისა და გადანაცვტილების მიღების პროცესებში და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის გზები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გამოწვევაა. მრავალმხრივ ფორმატში პარტნიორობის რეფორმის პროცესში სამოქალაქო საზოგადოებასა და პარტნიორი ქვეყნების ხელისუფლებებს შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული დიალოგის ხელშეწყობაში, აღიარებულია სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისა და მისი ეროვნული პლატფორმის ჩართულობა და იგი რეფორმების პროცესის შეუქცევადი განვითარების კომპონენტია. ძირითადად, ოთხი თემატური პლატფორმის ფარგლებში თანამშრომლობენ, მათ შორის უმნიშვნელოვანესია „დემოკრატია, ეფექტური მმართველობა და სტაბილურობა“. რაც თავის თავში გულისხმობს **სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას, მოქალაქეთა მიერ სახელისუფლებო მმართველობის განვითარებას თვითმმართველობის დონეზე, რეგიონალურ განვითარებას და სხვ.** სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი როლი ასოციირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის პროცესში აღიარებულია, იგი ღრმა და ყოვლისმომცველია თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით<sup>4</sup>. სამოქალაქო საზოგადოების კონფერენცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში წარმოადგენს კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიის განუყოფელ ნაწილს, როგორც ინფორმაციული საზოგადოებისა და მედიის პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებულ უნივერსალურ და ეროვნული ღირებულების პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს.

საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და ძირითადი ფასეულობების გაზიარებასთან ერთად საქართველოს ეროვნული ინტერესებს ასევე მოიცავს სახელმწიფო ინსტიტუტების გან-

3 „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ერთობლივი დეკლარაცია, ვილნიუსი 2013 წლის 28-29 ნოემბერი. პუნქტი 54-55.

4 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 25.11.2013წ. საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე.

ვითარება და დემოკრატიის განმტკიცება, საქართველო ქმნის სახელმწიფო მართვის ისეთ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული, პოლიტიკური სისტემის მდგრადობასა და განვითარებას, საქართველოს მიზანია დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას, კანონის უზენაესობას, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობის დამკვიდრება, სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება და სამოქალაქო ინსტიტუტებისათვის ნდობის უფრო მეტად განმტკიცება, ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება<sup>5</sup>. ქვეყნის პრიორიტეტები დაფუძნებულია თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში აღიარებულ ფასეულობებზე, ეს საშუალებას გვაძლევს პრიორიტეტების განხორციელებისას მოვიპოვოთ საერთაშორისო მხარდაჭერა. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში კუთვნილი და ღირსეული ადგილის დაკავება და მზარდი გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ინტერესების გატარება, ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერა, ამასთან უნდა ნახალისდეს ინიციატივა და პროაქტიურობა, ამოვიცნოთ გამოწვევები, ვიდრე ისინი საფრთხედ იქცევა<sup>6</sup>. მოცემულ კონტექსტში საქართველოს ორგანული კანონი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ამ მიზნების რეალიზებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. არჩევის თავისუფლების განმტკიცება, სერვისის ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა ხელისუფლების მართველობაში და სხვა ხაზს უსვამს სახელმწიფოს მიერ ნების გამოვლენას დემოკრატიული ღირებულებებისკენ სწრაფვაში.

არჩევანის თავისუფლებას და პიროვნებაზე ძალადობრივი ქმედების მიუღებლობას ქრისტიანობაც ქადაგებს, არჩევანის თავისუფლება მაშინაა ღირებული, როდესაც მას ერთმანეთისგან განსხვავებულ ფასეულობებს შორის ავლენენ. საქართველო

5 საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.

6 [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მისია.

თავისი განვითარებით, კულტურით ქრისტიანული ევროპის ნაწილია და ამიტომაც მისკენ ლტოლვა ჩვენს ხალხში ნამდვილად არის, მაგრამ ამ და ზემოთაღნიშნულ ფუნდამენტური საკითხების მიმართ ევროპარლამენტმა უნდა გაითვალისწინოს ცალკეული ქვეყნების ტრადიცია და აზროვნების წესი და მისცეს მათ საშუალება თავისუფალი არჩევანისა, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ გულწრფელად მოინდომოს თანამედროვე ევროპულ კულტურასთან დაკავშირება<sup>7</sup>.

**„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის“**

საქართველოს ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. შეთანხმება იძლევა თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობას ძირითადი მიმართულებებით. დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცებისა და დაცვისკენ გადადგმული ნაბიჯია. დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა პრიორიტეტულია ისეთ სფეროში, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვ<sup>8</sup>.

7 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2014 წლის საშობაო ეპისტოლე. <http://frontnews.ge>.

8 დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, როგორც ეს აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და განსაზღვრულია 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, 1975 წლის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის ჰელსინკის დასკვნითი აქტითა და 1990 წლის პარიზის ქარტიით ახალი ევროპისთვის, წარმოადგენს მხარეთა შიდასახელმწიფოებრივი და საგარეო პოლიტიკის საფუძველს და წინამდებარე

ასოცირების შესახებ შეთანხმება ჩანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, (PCA) შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. ასოცირების შესახებ შეთანხმება პოლიტიკურად და შინაარსობრივად უფრო ძლიერი დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აყავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით, იგი ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალური მექანიზმია, მისი ეფექტური განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს და აძლევს შანსს ევროკავშირში განვერიანებისა. აღებული ვალდებულების მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას<sup>9</sup> და მის განხორციელებას, შესაბამისი ინსტიტუტების გაძლიერებას. ევროკავშირთან დაახლოების კუთხით მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის გამო მას „შედეგების სამიტს“ (Delivery Summit) უწოდებენ, ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას. შეთანხმებაში ხაზგასმულია თანახმად **„განაგრძონ საჯარო მმართველობის რეფორმა და შექმნან ანგარიშვალდებული, ეფექტური, ქმედითი, გამჭვირვალე და პროფესიონალური საჯარო სამსახური“**<sup>10</sup> აღნიშნული ჩანაწერი მხარე სახელმწიფოს ავალდებულებს ვადაში განეროს და განახორციელოს ამბიციური სტრატეგიის განხორციელება მათ შო-

---

შეთანხმების არსებით ელემენტს. მასობრივი განადგურების იარაღის, ასეთ იარაღთან დაკავშირებული მასალებისა და მათი მინოდების საშუალებების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა ასევე წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების არსებით ელემენტს.

9 ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტებთან და მოიცავს 1000-მდე გვერდს.

10 „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ 2013 წლის 29 ნოემბერი. მუხლი 4.

რის თვითმმართველობის სფეროში<sup>11</sup>. ასევე დარეგულირებულია ურთიერთობა „რეგიონული განვითარება, თანამშრომლობასა ზღვრისპირა და რეგიონულ დონეზე“<sup>12</sup>. ყურადღებას გავამახვილებ შეთანხმების იმ სულისკვეთებაზე, რომლის შეთავსებაშიც მოდის განსახილველი ორგანული კანონი: მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთგაგებისა და ორმხრივი თანამშრომლობის ჩამოყალიბებას რეგიონული განვითარების პოლიტიკის სფეროში, რეგიონული პოლიტიკის მეთოდების ფორმულირებისა და იმპლემენტაციის, მრავალდონიანი მმართველობისა და პარტნიორობის ჩათვლით, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ღარიბი რაიონების განვითარებასა და ტერიტორიულ თანამშრომლობაზე, რაც მიზნად ისახავს კომუნიკაციის არხების ჩამოყალიბებასა და ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის სისტემის განმტკიცებას, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. მხარეები განსაკუთრებით ითანამშრომლებენ, რათა საქართველოს პრაქტიკა შეათავსონ შემდეგ პრინციპებთან: ა) მრავალდონიანი მმართველობის გაძლიერება, იმდენად, რამდენადაც იგი გავლენას ახდენს როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალური დონის მმართველობაზე, განსაკუთრებული აქცენტით ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ინტენსიფიკაციის გზებზე; ბ) რეგიონული განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაცია; გ) თანადაფინანსება, რეგიონული განვითარების პროგრამებისა და პროექტების განხორციელების პროცესში ჩართული სუბიექტების მიერ ფინანსური წვლილის შეტანის გზით. მხარეები დაეხმარებიან და განამტკიცებენ ადგილობრივი ხელისუფლების

---

11 შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა მხარეები ითანამშრომლებენ, რათა განავითარონ, გაამყარონ და გაზარდონ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და კანონის უზენაესობის სტაბილურობა და ეფექტიანობა; ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემას; განაგრძონ პროგრესი სასამართლო და სამართლებრივი რეფორმის კუთხით, რათა გარანტირებულ იქნეს სასამართლოს დამოუკიდებლობა, გაძლიერდეს მისი ადმინისტრაციული შესაძლებლობა და უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამცავ ორგანოთა მიუკერძოებლობა და ეფექტიანობა.

12 იქვე თავი 21.



ჩართულობას რეგიონული პოლიტიკის თანამშრომლობაში, რაც მოიცავს საზღვრისპირა თანამშრომლობას და შესაბამის მართვის სტრუქტურებს, გააღრმავებენ თანამშრომლობას ურთიერთხელსაყრელი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბების გზით, განამტკიცებენ და განავითარებენ ინსტიტუციური შესაძლებლობების ამაღლების საშუალებებს და ხელს შეუწყობენ საზღვრისპირა და რეგიონული ეკონომიკური და ბიზნეს კავშირების გაძლიერებას. მხარეები ითანამშრომლებენ რეგიონული განვითარებისა და მიწის გამოყენების დაგეგმარების სფეროებში საქართველოს ინსტიტუტების ინსტიტუციური და საოპერაციო შესაძლებლობების კონსოლიდაციის მიმართულებით, მათ შორის: ა) რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის, კერძოდ, კი ცენტრალურ და ადგილობრივ საჯარო სამსახურებს შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთქმედებათა მექანიზმების გაუმჯობესება; ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობების განვითარება, რათა ხელი შეეწყოს ორმხრივად მომგებიან საზღვრისპირა თანამშრომლობას ევროკავშირის პრინციპებისა და პრაქტიკის შესაბამისად; გ) რეგიონული განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნის, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების ეკონომიკურ კეთილდღეობასა და რეგიონების თანაბარზომიერ განვითარებას; მხარეები გააძლიერებენ და ხელს შეუწყობენ საზღვრისპირა თანამშრომლობის განვითარებას წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა სფეროებშიც, როგორებიცაა, მათ შორის, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, საკომუნიკაციო ქსელები, კულტურა, განათლება, ტურიზმი და ჯანდაცვა. მხარეები უფრო ინტენსიურს გახდიან თავიანთ რეგიონებს შორის თანამშრომლობას ტრანსნაციონალური და რეგიონებს შორის არსებული პროგრამების საშუალებით, რითაც ხელს შეუწყობენ საქართველოს რეგიონების ჩართულობას ევროპის რეგიონულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში და საერთო ინტერესების საფუძველზე შემუშავებული პროექტების განხორციელების გზით, განამტკიცებენ მათ ეკონომიკურ და ინსტიტუციურ



განვითარებას. აღნიშნულ ნაბიჯებს გადადგამენ შემდეგ კონტექსტში: ა) ტერიტორიული თანამშრომლობის გაგრძელება ევროპის რეგიონებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალური და საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამების გზით); ბ) აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობა ევროკავშირის ორგანოებთან, მათ შორის, რეგიონების კომიტეტთან და ევროპის სხვადასხვა რეგიონულ პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობა; გ) თანამშრომლობა, *inter alia*, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან და ევროპის სივრცითი დაგეგმვის დამკვირვებელთა ქსელთან<sup>13</sup>.

---

13 „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის“ მუხლი 372-374.

## ადგილობრივი თვითმმართველობა ზოგადი დებულებები

კოდექსის პირველი კარის პირველი თავი ეთმობა ზოგად დებულებებს, მასში განსაზღვრულია კოდექსის მოქმედების სფერო, ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება, სამართლებრივი საფუძვლები, მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეულის ცნება, ადგილობრივი თვითმმართველობის გარანტიები და სხვა ზოგადი საკითხები.

### **მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო**

**ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.**

საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შეფასებისას ევროპის საბჭოს შეფასება გათვალისწინებულია კანონპროექტის ინიციატორის მიერ, კერძოდ, მუხლიდან ამოღებულია ის ნაწილი, სადაც მითითებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისთვის საჭირო სამართლებრივ ბაზასთან ერთად ფინანსურიც და ეკონომიკურიც, ვინაიდან კოდექსი მოიცავს მხოლოდ სამართლებრივ დებულებებს, სხვადასხვა საკითხის შესახებ რეკომენდებულია აღნიშნული მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

კანონის ავტორის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების კოდიფიკაცია განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: დღეს ადგილობრივი თვითმმართველობის სფერო მონესრიგებულია რამდენიმე საკანონმდებლო აქტით, რაც ნორმათა შორის ბევრ კოლიზიას წარმოშობს. ამასთან, თვითმ-

მართველობის საკითხების ორგანული კანონით დარეგულირების კონსტიტუციური მოთხოვნა უგულებელყოფილია საქართველოს დედაქალაქთან, თბილისთან მიმართებით. ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი ყველა ნორმის ერთი, მაღალი იურიდიული ძალის მქონე საკანონმდებლო აქტში – ორგანულ კანონში გაერთიანება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის ერთიანობასა და მეტ მდგრადობას უზრუნველყოფს. კანონის ავტორის მიზანი გახლავთ: ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების კოდიფიცირება და თავმოყრა საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რაც წარმოადგენს დამატებით გარანტიას კანონმდებლობის მდგრადობის, ასევე კოლიზიებისა და წინააღმდეგობრიობის თავიდან ასაცილებლად. ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაციის განხორციელების ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

## **მუხლი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება**

**1. ადგილობრივი თვითმმართველობა არის თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადანყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.**

**2. თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი, ჰყავს არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები) და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.**

ქარტიის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია განსაზღვრულია შემდგენაირად: „ადგილობრივი თვითმ-

მართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოანესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად<sup>14</sup>.

საქართველოს მოქალაქეთა მიერ ხელისუფლების ადგილობრივ დონეზე განხორციელების იდეა უზრუნველყოფილია აღნიშნული ნორმით, სწორედ თვითმმართველობაში მოიაზრება მოქალაქეთა უფლებისა და შესაძლებლობების რეალიზება, მათ მიერ არჩეული ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები, თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, (იგივე დასახელება ან დასახლებათა ერთობლიობა) მათ გააჩნიათ აუცილებელი მახასიათებლები, რომლებიც იმპერატიულად განერილია მეორე პუნქტში. ამდენად, დასახლებას – თვითმმართველ ქალაქი ან დასახლებათა ერთობლიობას – თვითმმართველ თემი მუნიციპალიტეტის სახეობას წარმოადგენს, რომელსაც გააჩნია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ევროსაბჭოს მოსაზრება გახლდათ ის, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება ხდება მუნიციპალიტეტებში,“ თუმცა აღნიშნული ფორმულირება არ უნდა ტოვებდეს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს თვითმმართველი ქალაქები და თვითმმართველი თემები თვითმმართველობის სხვა ფორმებსა თუ კატეგორიებს წარმოადგენენ. გარდა ამისა, საჭიროა თბილისის, როგორც უნიკალური თვითმმართველობის სტრუქტურის მქონე ერთეულის მოხსენიება. ტერმინებს „ქალაქი“ და „თვითმმართველი თემი“ არ გააჩნიათ ნამდვილი სამართლებრივი მნიშვნელობა. მოცემული განმარტების მიხედვით, მუნიციპალიტეტები შეიძლება იყოს ურბანული ან სოფლის.

---

14 ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 3.1.

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტები – თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი**

**1. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში.**

**2. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.**

**3. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ან მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი.**

ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ხორციელდება მუნიციპალიტეტში, მუნიციპალიტეტი შეიძლება იყოს ორი სახის, თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი (მაგ. მცხეთის თვითმმართველი ქალაქი-მცხეთის თვითმმართველი თემი). მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მუნიციპალიტეტის სახეებს შორის გახლავთ ის, რომ თვითმმართველი ქალაქი არის მხოლოდ ერთი დასახლება, რომელიც უნდა იყოს ქალაქის კატეგორიის, ხოლო თვითმმართველი თემი რამდენიმე დასახლებათა ერთობლიობაა, (თავის მხრივ დასახლება სამი კატეგორიისაა) დამოუკიდებელ მუნიციპალიტეტის სტატუსი დასახლებას ან მის ერთობლიობას მიენიჭება (რომელთაც მინიჭებული არ აქვს) ამ კანონის დაცვით გავლითი პროცედურის შესაბამისად.

თავად დასახლების ცნება და მისი სივრცითი მოწყობის სამართლებრივი მექანიზმები ცალკე კანონით არ არის მოწესრიგებული, მისი რეგულაციისთვის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული განსაზღვრებისთვის აუცილებელი დეფინიციებია გამოყენებული.

აღნიშნული მუხლის დეფინიცია ევროსაბჭოს რეკომენდაციით წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით „1. თვითმმართველი ქალაქი წარმოადგენს ურბანული კატეგორიის დასახლებას, რომელსაც წარმოდგენილი კოდექსის მიხედვით მიენიჭება მუნიციპალიტეტის სტატუსი. 2. თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლებული ტერიტორიის ასოციაცია, ისტორიულად ფორმირებული და/ან

ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივი-გეოგრაფიული მახასიათებლებით, რომელსაც მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი.“

**მუხლი 4. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული**

1. მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეული არის დასახლება, რომელსაც აქვს სახელწოდება, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია და ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა. დასახლების კატეგორიებია:

ა) სოფელი – დასახლება, რომლის საზღვრებშიც ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) დაბა – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები ან/და ტურისტული და საკურორტო დაწესებულებები ან/და სამკურნალო და სოციალურ-კულტურული დაწესებულებები და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. დაბის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. დაბის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა;

გ) ქალაქი – დასახლება, რომლის ტერიტორიაზედაც განლაგებულია სამრეწველო საწარმოები და ტურისტულ, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს. ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია



შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა, ანდა ის ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, როგორც თვითმმართველი ქალაქი.

2. დასახლების შექმნისა და გაუქმების, დასახლებისთვის შესაბამისი კატეგორიის მინიჭებისა და შეცვლის, აგრეთვე დასახლების ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

3. მართვის ოპტიმიზაციისათვის მუნიციპალიტეტი შეიძლება დაიყოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. თვითმმართველ თემში ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორია ერთი ან რამდენიმე დასახლების ტერიტორიას ემთხვევა. თვითმმართველ ქალაქში ადმინისტრაციული ერთეული დასახლების ნაწილია.

4. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, დადგენილებით იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

შედარებითი ანალიზის სახით შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა ქვეყნის მაგალითები, თუ როგორი ტიპის დასახლება მიიჩნევა ქალაქად ან/და მუნიციპალიტეტად. ქალაქის ან მუნიციპალიტეტის სტატუსის მინიჭების პირობები განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. როგორც წესი, ეს განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით. მხედველობაში მიიღება მოსახლეობის რაოდენობა, მისი საქმიანობის სფერო, ასევე ისტორიული ასპექტები და ა.შ. მაგალითად, უკრაინაში დასახლებულ პუნქტს, ქალაქს სტატუსს ანიჭებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული სპეციალური კანონი, თუ ამ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობს 10000 მოსახლეზე მეტი და მოსახლეობის უმრავლესობა არ არის დასაქმებული აგრარულ სფეროში. რუსეთის ფედერაციაში ქალაქის სტატუსის მისაღებად აუცილებელია 12000 მოსახლე, 8000 მოსახლე აუცილებელია ქალაქის სტატუსის მისაღებად ყაზახეთში, სომხეთში, ლატვიასა და

ესტონეთში. ხორვატიის კანონში ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის შესახებ ვკითხულობთ: ქალაქი – ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულია, რომელიც წარმოადგენს მხარის ცენტრს (მთავარ დასახლებულ პუნქტს), 10000-ზე მეტი მოსახლით და რომელიც ამავდროულად – ურბანულ. ისტორიულ, ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ ერთობას წარმოადგენს<sup>15</sup>.

დასახლება სამი კატეგორიისაა (სოფელი, დაბა და ქალაქი) ქალაქის ტიპის დასახლების თვითმმართველი ქალაქის – მუნიციპალიტეტის სტატუსის მინიჭება განერილია ამავე კანონში. კანონის ავტორის დასაბუთებით აღნიშნული რეგულაციებით ვუახლოვდებით ევროპულ სტანდარტებს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ ხელისუფლების მართვაში მონაწილეობის ხელშეწყობის, ხელისუფლების დეცენტრალიზაციის, სერვისის მინოდების ხელმისაწვდომობისა და სხვ. დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების სურვილის მიუხედავად, ახალი მუნიციპალიტეტების შექმნა ვფიქრობ არ იქნება უმტკივნეულო პროცესი და იგი გარკვეული რისკის მატარებელია. ტერიტორიაზე დღეს 3500-მდე სოფელია, რომელიც 998 თემშია გაერთიანებული; დუშეთის მუნიციპალიტეტში 380 სოფელი 14 თემშია გაერთიანებული, ოზურგეთის რაიონის 210 სოფელი – 40 თემში. ნამდვილად ვერ იქნება ჰარმონიული პროცესი მაგალითად ათიათასიანი მოსახლეობისგან შემდგარი დასახლების და ათასი მცხოვრებისგან შემდგარი დასახლების გაერთიანება, ვინ უნდა იყოს წარმოდგენილი ამ სოფლიდან, რატომ არ უნდა ჰყავდეს თუნდაც იმ ათასკაციან დასახლებას წარმომადგენელი მუნიციპალიტეტში, როგორ მოხდება ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტის ინსტიტუციონალიზაცია. ამდენად, ახალი კანონის პრაქტიკაში დანერგვა და ამბიციური გეგმის შესაბამისად რეფორმების გატარება უნდა წარიმართოს მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და მოსახლეობის სწორად ინფორმირების ფონზე. უნდა გამოირიცხოს გარკვეული გაუგებრობები, რაც არ გახდება ქვეყნის სუვერენიტეტისთვის საფრთხის შემცველი პროვოცირების მცდელობის საფუძველი.

აღნიშნული დებულებები ევროსაბჭოს განმარტებით ძირით-

---

15 საქართველოს პარლამენტი, კვლევითი დეპარტამენტი.



ადად ემსახურება პრაქტიკულ მიზნებს, იმის განსაზღვრას, რომ ახალი მუნიციპალიტეტები განსხვავებული ტიპის არ იქნება. თუმცა, ეს ეხება ყველა ტერიტორიას მიუხედავად იმისა, მუნიციპალიტეტები არის თუ არა ერთი და იმავე ზომის, გააჩნიათ თუ არ მათ ერთნაირი სოციოლოგიური და ეკონომიკური მახასიათებლები ან კულტურული თუ პოლიტიკური ფუნქციები. მიუხედავად ამისა, თუ საქართველოს პარლამენტი ჩათვლის, რომ საჭიროა ზემოთქმულის აღნიშვნა კოდექსში, საინანაღმდეგო არაფერი გვექნება, ვინაიდან გასაგებია, რომ ჩამოთვლილი არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების სპეციფიურ კატეგორიებს. „დასახლება“ არის გაურკვეველი კატეგორია, რომელსაც აქვს 3 ქვედაყოფა. მას არ აქვს სუბიექტის იურიდიული სტატუსი და არ ჰყავს პოლიტიკური წარმომადგენლობა. იგი არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული და არ არის გათვალისწინებული ქარტიაში. შესაძლებელია, აღნიშნულის ნათლად ასახვა „დასახლების ძირითადი ტერიტორიული ერთეული, რომელსაც არ გააჩნია ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსი, წარმოადგენს დასახლებას, რომელსაც აქვს სახელი, ადმინისტრაციული საზღვრები, ტერიტორია, ჰყავს რეგისტრირებული მოსახლეობა და დარეგისტრირებულია დასახლებათა ერთიან რეესტრში. დასახლების კატეგორიებია<sup>16</sup>.“

**მუხლი 5. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები და დათქმები**

**1. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.**

**2. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილება განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქა-**

<sup>16</sup> საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შეფასება - ევროპის საბჭო - დეკემბერი, 2013 წ.

რთველოს კონსტიტუციური კანონით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონისა და ამ კანონის ნორმების გათვალისწინებით.

3. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხები განისაზღვრება შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლება-მოსილება არ ვრცელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე.

ქარტია (მუხ. 4) ადგენს ძირითად პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებული უნდა იყოს საკუთარი და ადგილობრივ ხელისუფლებაზე დელეგირებული ძალაუფლებები და ამგვარად აღიარებს, რომ ადგილოვრივი ხელისუფლების ყველა უფლებისა და პასუხისმგებლობების ამომწურავად ჩამოთვლა ყოველთვის შესაძლებელი ან თუნდაც საჭირო არაა და უფლებების ვერტიკალური გაყოფა (répartition des compétences) ცენტრალურ (ეროვნულ) და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის.

**მუხლი 6. საქართველოს მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების უფლება**

1. საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონისა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, ამ კანონითა და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

ქარტიის თანახმად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, როგორც წესი, იქნება სრული და ექსკლუზიური. იგი არ შეიძლება იყოს შეზღუდული სხვა ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა<sup>17</sup>.

განსახილველი მუხლის პირველ პუნქტში ევროსაბჭოს რეკომენდაციით საჭირო არ არის იმის ხსენება, რომ კონსტიტუცია ან საერთაშორისო ხელშეკრულებები ეხება კონკრეტულ ობიექტს. ეს არ ხდება კანონის შედეგად. ამიტომ, აღნიშნულ პარაგრაფში წარმოდგენილია მხოლოდ ინფორმაცია, ნორმატიული შინაარსისა და გავლენის გარეშე. ამიტომ, თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოების ზოგადი დოქტრინისა, იგი არ უნდა იყოს კანონში შეტანილი. თითქმის იგივე დებულება მეორდება მუხლ 6 (1)-ში. როგორც მინიმუმ, საკმარისია ერთხელ ხსენება და მე-6 მუხლში გამოჩენა.

### **მუხლი 7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიები**

1. სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს.

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი, საფინანსო-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები.

3. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რომლებიც შეეხება ამ კანონით დადგენილ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს, წინასწარი კონსულტაციები გამართონ იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებთან, რომლებიც ქვეყნის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტს აერთიანებენ.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ქმედებების გასასაჩივრებლად, რომლებიც ზღუდავს ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზ-

17 ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 4.4.

ღვრული უფლებამოსილების განხორციელებას.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე თავთან მიმართებით ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განსახილველად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

6. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხვა გადაწყვეტილება არ მიიღო, საქართველოს საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მუნიციპალიტეტს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

სამოქალაქო საზოგადოების როლი ხელისუფლების განხორციელებაში გაზრდილია აღნიშნული ნორმით, საკითხი, რომელიც ეხებათ დაინტერესებულ არასამეწარმეო იურიდიული პირებს და რომლებიც აკმაყოფილებენ გაერთიანების მასშტაბებს, (უნდა აერთიანებდნენ ქვეყნის მუნიციპალიტეტების ნახევარზე მეტს.) – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან წინასწარი კონსულტაციები გამართონ მათთან გადაწყვეტილების მიღებამდე. კანონის ავტორის განმარტებით მოცემული ოდენობა გაერთიანებისა სტანდარტებითა და რეგულაციებით შემოთავაზებული რესპოქტაზიულობაა და იგი აპრობირებული ნორმაა.

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება მიმართოს სასამართლოს, (საქართველოს საერთო სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს) უზრუნველყოფილია აღნიშნული ნორმით, მუნიციპალიტეტს სასამართლოში წარმოადგენს მერი/გამგებელი. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სარჩელის მიმართვის უფლებისგან შეზღუდულია მერი/გამგებელი, ამ უფლების რეალიზებისთვის მას სჭირდება საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.

მეორე პუნქტთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს გააჩნია თავისი ხედვა, კერძოდ, წარმოდგენილი განცხადება საყოველთა-

ოდ აღიარებულია. თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, მიუღებელია, რომ სახელმწიფო სააგენტოებმა განსაზღვრონ „სათანადო სამართლებრივი, ფინანსურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობები“ მუნიციპალიტეტებისთვის. არა მხოლოდ აღნიშნულის განსაზღვრაა საკმაოდ რთული, არამედ უნდა დადგინდეს კანონის მიერ და არა სახელმწიფო სააგენტოების (ადმინისტრაციული?) აქტის მიხედვით. ეს არ წარმოადგენს სამართლებრივ მოვალეობას; ეს, უფრო მეტად არის პოლიტიკური რეკომენდაცია: სახელმწიფოს ბუნებრივი ვალდებულებაა ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტურ მუშაობას. რა თქმა უნდა, სახელმწიფო სააგენტოებს მოუწევთ მოამზადონ საკანონმდებლო პროექტი (სამართლებრივი, ფინანსური, ორგანიზაციული ასპექტების შესახებ) და დასამტკიცებლად წარუდგინონ პარლამენტს. თუმცა, აღნიშნული დათქმა არ იქნება სავალდებულო სამინისტროებისთვის – შესასრულებლად და პარლამენტისთვის – მისაღებად. შესაბამისად, მსგავსი სახის განცხადება არ უნდა იყოს ჩადებული ორგანულ კანონში“. კანონპროექტმა რეკომენდაციის შემდეგ განიცადა გარკვეული ცვლილებები და სახეცვლილია მოცემული.

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის სიმბოლოები**

**1. მუნიციპალიტეტს აქვს გერბი და დროშა. მას შეიძლება ჰქონდეს სხვა სიმბოლოებიც.**

**2. მუნიციპალიტეტის გერბს, დროშას და სხვა სიმბოლოებს, მათი გამოსახვის ფორმებსა და აღწერილობებს საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო. სავალდებულოა მუნიციპალიტეტის სიმბოლოების სახელმწიფო რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

**3. მუნიციპალიტეტის სიმბოლოთა გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.**

მუნიციპალიტეტის გერბს და დროშას საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების საფუძველზე და მისი თანხმობით ადგენს

შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის საკრებულო, მის მიერ მიღებული ნორმატიული სამართლებრივი აქტი რეგისტრირდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე, რაც გულისხმობს მის რეგისტრაციასა და გამოქვეყნებას.

კანონში მოცემული არაა რა იგულისხმება „სხვა სიმბოლოებში“ ეს იქნება გეოგრაფიული ადგილი, ნივთი, მედალიონი, ნივთი თუ. რა. მისი წარმოების წესს ადგენს შესაბამის საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ, ხოლო მისი გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს მთვრობის ნორმატიული აქტი.

***მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენა***

***მუნიციპალიტეტის ორგანოების სამუშაო და საქმისწარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა.***



## ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზება

ქარტიის თანახმად, ცვლილებები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციულ საზღვრებში არ იქნება შეტანილი შესაბამის ადგილობრივ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით იქ, სადაც კანონით ეს ნებადართულია<sup>18</sup>.

ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზების საკითხები მონესრიგებულია პირველი კარის მე-2 თავით კერძოდ, თვითმმართველი ერთეულების შექმნა-გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, მუნიციპალიტეტების რეგისტრაციის პროცედურები. კანონის თანახმად, თვითმმართველი ქალაქის სტატუსს იღებს ქალაქი, რომლის მოსახლეობის რაოდენობაც 15 000 შეადგენს. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით თვითმმართველი ქალაქის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს აგრეთვე იმ ქალაქს, რომელის მოსახლეობა 15 000 მცხოვრებზე ნაკლებია, მაგრამ გააჩნია ურბანული მიზიდულობისა და განვითარების პოტენციალი.

კანონის განხილვის დროს იყო მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული თავი უნდა მოიცავდეს ზოგად მუხლს, რომელშიც განსაზღვრული იქნება მუნიციპალიტეტები, განსაკუთრებით არსებულთან შედარებით და ზემოთ განსაზღვრული ერთეულების მიმართ (დასახლებული ადგილი). მასში ნათლად უნდა იყოს მოცემული მუნიციპალიტეტი სოფლებისგან, დასახლებებისგან და ქალაქებისგან შედგება თუ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი კატეგორიაა მასში წარმოდგენილი? როგორ უნდა იყოს შესული „დასახლებული ადგილები“ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში? მუნიციპალიტეტების გაყოფისა ან გაერთიანებამდე საჭიროა მათი განსაზღვრა და შექმნა.

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის შექმნა და გაუქმება. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დადგენა და შეცვლა**

18 ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 5.

1. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების საფუძველია:

ა) მუნიციპალიტეტის გაყოფა ორ ან მეტ მუნიციპალიტეტად;

ბ) ორი ან მეტი ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტის გაერთიანება ერთ მუნიციპალიტეტად.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით, საკუთარი ინიციატივით, მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის შექმნის ან გაუქმების შესახებ წარდგინებით.

3. მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით ახალი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) შექმნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის გაყოფის/მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში) შემავალი დასახლებების ჩამონათვალი და მოსახლეთა რაოდენობა;

გ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

დ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) სახელწოდება (სახელწოდებები);

ე) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის (თვითმმართველი თემების) ადმინისტრაციული ცენტრი (ცენტრები);

ვ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობას-



თან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

ზ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

4. მუნიციპალიტეტების საკრებულოები უფლებამოსილი არიან, შესაბამის სამთავრობო კომისიას მიმართონ ერთობლივი შუამდგომლობით. ერთობლივ შუამდგომლობას უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ერთობლივი შუამდგომლობის ტექსტს და თანდართულ დოკუმენტაციას იწონებენ აღნიშნული მუნიციპალიტეტების საკრებულოები. ერთობლივ შუამდგომლობას ხელს აწერენ ამ მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები.

5. თუ მუნიციპალიტეტების გაერთიანების შესახებ შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარადგინა, შესაბამისი სამთავრობო კომისია ვალდებულია კონსულტაცია გამართოს იმ მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან და მოსახლეობასთან, რომლებიც შეიძლება გაერთიანდნენ.

6. მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით ახალი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) შექმნის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის წარდგინებას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის გაყოფის/მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელ მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში) შემავალი დასახლებების ჩამონათვალი და მოსახლეთა რაოდენობა;

გ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

დ) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) სახელწოდება (სახელწოდებები);

ე) მუნიციპალიტეტის გაყოფით/მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი თვითმმართველი თემის (თვითმმართვე

ლი თემების) ადმინისტრაციული ცენტრი (ცენტრები);

ვ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება, მისი არსებობის შემთხვევაში;

ზ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

თ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა, მისი არსებობის შემთხვევაში.

7. თვითმმართველი თემის სრული სახელწოდება შედგება თვითმმართველი თემის სახელწოდებისა და თვითმმართველი ერთეულის ზოგადი დასახელებისგან – „მუნიციპალიტეტი“. თვითმმართველი ქალაქის სრული სახელწოდება შედგება დასახლების კატეგორიის დასახელებისგან – „ქალაქი“, ქალაქის სახელწოდებისა და თვითმმართველი ერთეულის ზოგადი დასახელებისგან – „მუნიციპალიტეტი“.

8. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილება ამოქმედდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების დანიშვნის დღეს და შესაბამის მუნიციპალიტეტში არჩევნები გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგ არჩევნებთან ერთად. ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის ახალარჩეული საკრებულოს პირველ შეკრებამდე და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის არჩევამდე შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება არჩევნებამდე არსებული საკრებულოსა და გამგებლის/მერის უფლებამოსილებანი.

9. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით, საკუთარი ინიციატივით, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის (გარდა თვითმმართველი ქალაქისა) ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის შესახებ წარდგინებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული

ცენტრის დადგენა ხდება მუნიციპალიტეტის შექმნის დროს.

10. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

გ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

11. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის შესახებ საქართველოს მთავრობის წარდგინებას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

გ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება, მისი არსებობის შემთხვევაში.

12. მუნიციპალიტეტის შექმნისა და გაუქმების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის დადგენისა და შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებებს საქართველოს მთავრობის წარდგინებით, დადგენილებით იღებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის თანახმად, საქართველო არის ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფო, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რეგიონის ჩათვლით, რომელთა სტატუსი განისაზღვრება ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონით. აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში რეგულირდება სახელმწიფო კანონით „აჭარისა და აფხაზეთის

კონსტიტუციის დამტკიცების შესახებ.“ ევროსაბჭოს მოსაზრებით, კოდექსის ავტორებს ესმით პოტენციური დაძაბულობა და შესაძლებელია კრიზისიც კი, რაც მსგავსმა ახალმა მექანიზმებმა შეიძლება გამოიწვიოს, ვინაიდან ავტორებს აღნიშნული მექანიზმები ნახსენები აქვთ განმარტებით ბარათში და ხაზს უსვამენ მათი დაძლევის საჭიროებას; მიუხედავად ამისა, რიგი სამართლებრივი ნორმების ანალიზი შესაძლებელია სხვა რამეზე მიანიშნებდეს (უნდობლობა და გამგებლის/მერის დათხოვნა, ზოგიერთი სამართლებრივი პროცედურა მუნიციპალიტეტების დონეზე, ზოგიერთი საბიუჯეტო პროცედურები დედაქალაქის დონეზე). ყურადღებით განხილეს სამართლებრივი დებულებების სამომავლოდ განხორციელების საკითხი, რათა თავიდან აიცილონ შესაძლო ან პოტენციური რისკები და საფრთხეები.

ქარტიის მეხუთე მუხლი ეხება სიტუაციას, როცა ადგილობრივი ორგანოების საზღვრების ცვლილება (თვითმმართველი ორგანოების გაყოფა ან გაერთიანება) შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ დაინტერესებულ ადგილობრივ საზოგადოებასთან კონსულტაციის შემდეგ, რეფერენდუმის ან კონსულტაციის სხვა ფორმების გამოყენებით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა**

**1. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ამ კანონით დადგენილი წესით, საკუთარი ინიციატივით, მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან და მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე ან მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობითა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის საფუძველზე საქართველოს პარლამენტს მიმართოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წარდგინებით.**

**2. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შუამდგომლობა წარედგინება შესაბამის სამთავრობო კომისიას. შუამდგომლობას უნდა დაერთოს:**

- ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების**

შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

გ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

დ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება.

3. მუნიციპალიტეტების საკრებულოები უფლებამოსილი არიან, შესაბამის სამთავრობო კომისიას მიმართონ ერთობლივი შუამდგომლობით. ერთობლივ შუამდგომლობას უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. ერთობლივი შუამდგომლობის ტექსტს და თანდართულ დოკუმენტაციას ინონებენ აღნიშნული მუნიციპალიტეტების საკრებულოები. ერთობლივ შუამდგომლობას ხელს აწერენ ამ მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეები.

4. თუ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის საკრებულომ წარადგინა, შესაბამისი სამთავრობო კომისია ვალდებულია კონსულტაცია გამართოს იმ მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან) და მოსახლეობასთან, რომლებსაც შეიძლება შეეხოთ ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა.

5. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს მთავრობის წარდგინებას უნდა დაერთოს:

ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის საჭიროების დასაბუთება;

ბ) მუნიციპალიტეტის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა;

გ) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციის ამსახველი დოკუმენტები;

დ) ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება, მისი არსებობის შემთხვევაში;

ე) მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს



*(საკრებულოების) შუამდგომლობა, მისი არსებობის შემთხვევაში.*

**6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის წარდგინებით, დადგენილებით იღებს საქართველოს პარლამენტი.**

დემოკრატიულ ქვეყნებში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების საზღვრების შეცვლის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა – თვითმმართველობის ორგანოების აზრის გათვალისწინება და მოსახლეობის აზრის პირდაპირი გამოკითხვა (ტარდება ე.წ. საკონსულტაციო პლებისციტი). შედარებითი ანალიზი დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ როგორი წესით ხდება მუნიციპალიტეტის და მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლა და მოგვცემს ზოგად სურათს. მაგ. ავსტრიაში კანონდებლობის მიხედვით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მუნიციპალური საბჭოების შეთანხმების საფუძველზე და შესაბამისი ფედერალური მინის (ლანდის) მთავრობის მიერ ამ აქტის დამტკიცების შედეგად. ნორვეგიაში კი არსებობს კანონი „კომუნათა საზღვრების შეცვლის შესახებ“ – თუკი საქმე ეხება ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიების შეერთებას ან უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს, გადწყვეტილებას იღებს ადგილობრივი ადმინისტრაციების სამინისტრო ან პარლამენტი. კომუნას ან მის მოსახლეობას აქვს უფლება შეიტანოს წინადადება საზღვრების შეცვლის თაობაზე<sup>19</sup>.

ექსპერტების ნაწილთა მოსაზრებით, მუნიციპალიტეტის შექმნისა და გაუქმების ან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის პროცესში მოსახლეობის მხოლოდ კონსულტაციით შემოფარგვლა არ მიაჩნიათ საკმარისად, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ყველას არ უნდა ჰქონდეს გარკვეული კრიტერიუმების არსებობის გარეშე დასვას აღნიშნული საკითხი, კანონპროექტის ავტორს მიაჩნია, რომ აკრძალვა რომ არა, დასვას საკითხი კრიტერიუმების გამო, მიუღებელია. საკითხის დასმა არ ნიშნავს მის უპირობო შესრულებას, მას მთავრობა განსაზღვრავს, შინაარსობრივად ამისთვის ყველა მხარის მზაობა უნდა იყოს, ამასთან მისი ვადა ამ კანონით არ არის განსაზღვრული,

<sup>19</sup> საქართველოს პარლამენტი, კვლევითი დეპარტამენტი.

სხვა სამართლებრივი პროცედურის ვადები განწერილია დეტალურად და მეტ კონკრეტიზაციას არ საჭიროებს. საერთაშორისო ქარტიის ამ მუხლს საქართველო არ შეერთებია, თვითმმართველი არჩეული ორგანო მოიცავს მის მოსახლეობასაც, ტერიტორიული მოწყობა, ექსკლუზიურად ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციაა. კონსტიტუციის მიხედვით, გამომდინარე სავალდებულო კონსულტაცია შედის მე-12 მუხლში.

მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში სამართლიანად წარმართოს შიდა და გარე საზღვრების დადგენა, როგორ მოხდება მისი გადაცემა და მუნიციპალიტეტად ჩამოყალიბება, დეფაქტო გარემოების სამართლებრივ ქრილში გადატანა, თვითმმართველი თემის საზღვრების დაზუსტება, რომელი დასახლება არ შეიძლება გაიყოს და სხვ. მაგალითად, თვითმმართველ ქალაქი ვერ მოხდება გაყოფის რეგულაციის სამართლებრივ ჩარჩოებში, ვინაიდან იგი წარმოადგენს ერთ დასახლებას და მისი გაყოფა დაუშვებელია ამ კანონით.

აღნიშნული მუხლი ევროსაბჭოს მოსაზრებით ცენტრალური მნიშვნელობისაა მუნიციპალიტეტების ახალი რუქისთვის, ვინაიდან იგი აღწერს იმ პროცედურას, რომლის მეშვეობით შეიქმნება ახალი მუნიციპალიტეტები კანონის მიღების შემდეგ. ამ მუნიციპალიტეტთა უმრავლესობა „რაიონული მუნიციპალიტეტების“ უფრო მცირე ზომის მუნიციპალიტეტებად დაყოფის შედეგად მიიღება.

კანონის ინიციატორის მიერ, იმის საილუსტრაციოდ, თუ თვითმმართველ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის საშუალო ევროპული მაჩვენებლები რა თანხვედრაშია თვითმმართველი ერთეულების ფართობის საშუალო ევროპული მაჩვენებლებთან ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების გათვალისწინებით – წარმოდგენილი იქნა ცხრილი №1-№3.

## ცხრილი N1

თვითმმართველ ერთეულებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის საშუალო ევროპული მაჩვენებლები.

ქვეყანა	მოსახლეობის საშუალო რაოდენობა	ქვეყანა	მოსახლეობის საშუალო რაოდენობა
ჩეხეთი	1682	ალბანეთი	10267
საფრანგეთი	1791	ანდორა	11194
სლოვაკეთი	1847	ნორვეგია	11672
უნგრეთი	3132	პოლონეთი	15548
შვეიცარია	3135	ფინეთი	16114
სომხეთი	3245	ლატვია	17021
ლიხტენშტეინი	3332	ბელგია	18917
მონაკო	3416	მაკედონია	24771
სან მარინო	3472	თურქეთი	25084
ავსტრია	3590	ბულგარეთი	27669
მოლდოვა	3625	აზერბაიჯანი	27837
უკრაინა	3959	ბოსნია-ჰერცეგოვინა	27985
ისლანდია	4212	კვიპროსი	28949
<b>საქართველო-2002</b>	4354	ჩერნოგორია	29575
ლუქსემბურგი	5014	შვედეთი	32816
ესპანეთი	5694	პორტუგალია	34178
ესტონეთი	5927	საბერძნეთი	34708
მალტა	6152	ნიდერლანდები	40114
საერთო ევროპული	6688	სერბეთი	41517
რუმინეთი	6704	ლიტვა	49758
გერმანია	7133	ირლანდია	53986
იტალია	7526	დანია	57046
ხორვატია	7674	<b>საქართველო-2012</b>	70497
სლოვენია	9754	გაერთიანებული სამეფო	135681



## ცხრილი N 2

თვითმმართველი ერთეულების ფართობის საშუალო ევროპული მაჩვენებლები.

ქვეყანა	საშუალო ფართობი კმ2	ქვეყანა	საშუალო ფართობი კმ2
მალტა	5	პოლონეთი	126
სან მარინო	7	საერთო ევროპული	193
ჩეხეთი	13	ესტონეთი	200
ლიხტენშტეინი	15	კვიპროსი	237
საფრანგეთი	15	აზერბაიჯანი	259
შვეიცარია	16	თურქეთი	266
სლოვაკეთი	17	პორტუგალია	299
ლუქსემბურგი	24	მაკედონია	303
უნგრეთი	29	ბოსნია-ჰერცეგოვინა	374
გერმანია	31	საბერძნეთი	406
სომხეთი	33	ბულგარეთი	420
მოლდოვა	34	დანია	440
ავსტრია	36	სერბეთი	445
იტალია	37	გაერთიანებული სამეფო	521
ბელგია	52	ლატვია	543
უკრაინა	52	ჩერნოგორია	658
საქართველო-2002	57	ნორვეგია	753
ესპანეთი	62	ირლანდია	827
ანდორა	67	<b>საქართველო-2012</b>	891
რუმინეთი	75	ფინეთი	1006
ალბანეთი	93	ლიტვა	1088
სლოვენია	96	რუსეთი	1300
ნიდერლანდები	99	ისლანდია	1355
ხორვატია	102	შვედეთი	1552

## ცხრილი N3

ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯები.

მუნიციპალიტეტის დასახელება	ქალაქის ხარჯები მუნიციპალიტეტში	სოფლის ხარჯები მუნიციპალიტეტში	ქალაქის მოსახლეობა მუნიციპალიტეტში	სოფლის მოსახლეობა მუნიციპალიტეტში
ზუგდიდი	60%	40%	41%	59%
გორი	89%	11%	33%	67%
სამტრედია	88%	12%	49%	51%
ხაშური	76%	24%	46%	54%
სენაკი	53%	47%	54%	46%
ზესტაფონი	74%	26%	32%	68%
თელავი	85%	15%	31%	69%
მარნეული	64%	36%	17%	83%
ოზურგეთი	61%	39%	24%	76%
ქობულეთი	85%	15%	21%	79%
ახალციხე	96%	4%	40%	60%
წყალტუბო	82%	18%	23%	77%
კასპი	44%	56%	29%	71%

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან კონსულტაციის გამართვის წესი**

1. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ წინადადებებს და მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოების) შესაბამის შუამდგომლობას საქართველოს მთავრობის მიერ განსახილველად ამზადებს შესაბამისი სამთავრობო კომისია.

2. შესაბამისი სამთავრობო კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან კონსულტაციის მიზნით ამ კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებითა და მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას უგზავნის მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოს (საკრებულოებს). მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია საკრებულოს სხდომაზე განიხილოს აღნიშნული დოკუმენტაცია და შესაბამის სამთავ-

რობო კომისიას თავისი მოსაზრება წერილობით წარუდგინოს დოკუმენტაციის მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღისა. მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საკრებულოსთან (საკრებულოებთან), რომლის (რომელთა) შუამდგომლობაც წარდგენილი აქვს შესაბამის სამთავრობო კომისიას, კონსულტაცია არ იმართება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში კონსულტაცია გამართულად ითვლება და საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია შესაბამისი წარდგინებით მიმართოს საქართველოს პარლამენტს. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება რჩება, თავისი მოსაზრება წერილობით წარუდგინოს უშუალოდ საქართველოს პარლამენტს.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობითი მოსაზრება ფორმდება საკრებულოს სხდომის ოქმით. ამ ოქმში აისახება განსახილველი საკითხის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოზიცია და სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებები.

5. მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვას უზრუნველყოფს შესაბამისი სამთავრობო კომისია, ხოლო შუამდგომლობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ წარდგენის შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტი.

6. მოსახლეობასთან კონსულტაცია იმართება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან საჯარო განხილვის ფორმით. შესაბამისი სამთავრობო კომისია/მუნიციპალიტეტი საკითხის საქართველოს მთავრობისთვის/საქართველოს სამთავრობო კომისიისთვის განსახილველად წარდგენამდე საჯაროდ აქვეყნებს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებად ითვლება მისი გამოქვეყნება ბეჭდვით

გამოცემაში, რომელიც ვრცელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე) და გამოიცემა კვირაში ერთხელ მაინც. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ინფორმაცია ბეჭდვით გამოცემაში გამოქვეყნების ნაცვლად საჯაროდ გამოაცხადოს.

8. დაინტერესებული პირები უფლებამოსილი არიან, ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში შესაბამის სამთავრობო კომისიას/მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინონ საკუთარი მოსაზრებები. საჯარო განხილვის პროცესში შეიძლება შესაბამისი მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრები გაიმართოს.

კანონი არ აზუსტებს ვინ უნდა შეიყვანონ საკონსულტაციო კომისიაში ან რა წესით იქნება იგი დაკომპლექტებული, სავარაუდოდ, ამ კომისიას ეყოლება სამუშაო ჯგუფები და იგი დაკომპლექტება ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. კანონმდებელი მიიჩნევს, რომ პროცესის ნორმალიზაციისთვის ყველა აუცილებელი ფორმა კრიტერიუმებისა განერილია, თუმცა ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საჯარო განხილვების ნაკლებობა იგრძნობა, თვითმმართველობისა და მოსახლეობის მოსაზრებები უნდა იყოს უფრო მკაფიოდ და გარანტირებულად წარმოდგენილი (პუნქტი 6) მოსახლეობისა და საკრებულოს უმცირესობის განსხვავებული აზრი უნდა დაერთოს საქმეს, რათა საკითხი გადაწყდეს ყოველმხრივი ობიექტური მაღალი ხარისხის გამოკვლევის შედეგად, მოსახლეობასთან კონსულტაციებისთვის უნდა იყოს მითითებული ვადები. ექსპერტთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ კომპაქტური ვადების არსებობამ შეიძლება უფრო გაჭიანუროს პროცესი და არაქმედითად აქციოს იგი.

სხდომის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარე, მისი გამოქვეყნება განსაზღვრულია ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებით.

დაინტერესებული პირი შეიძლება ჩაითვალოს პირი თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ეს ინფორმაცია-აქტი ან რომლის

კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას მოახდენს აღნიშნული განსახილველი საკითხი.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის შექმნის, გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი**

**მუნიციპალიტეტის შექმნის, გაუქმების, მისი ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიული სტრუქტურა განისაზღვრება სახელმწიფო კანონით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის ახლად შესწორებულ VII თავში, წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი პრინციპები ზემოთ აღწერილ ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. კოდექსის პროექტში წარმოდგენილია აღნიშნული დებულებების განხორციელების მცდელობა ადგილობრივი თვითმმართველობის თანდათანობითი რეფორმის განხორციელების ფონზე.

საქართველოს კანონმდებლობით გამიჯნულია საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოების განსჯადი საქმეები.

კანონში მითითებული არ არის უშუალოდ ვინ შეიტანს სარჩელს, (გამგებელი. მერი საკრებულოს თავმჯდომარე) ან რომელი სასამართლო განიხილავს დავას. (საქართველოს საერთო სასამართლო თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო) კონკრეტულად დავის არსიდან გამომდინარე, გადაწყდება მოქმედ კანონმდებლობას რა სახის დავა ექვემდებარება, რაც შეეხება საჩივრის ავტორს, წარმოადგენს გამგებელი/მერი მისი სტატუსისა და ამ კანონის მე-7 მუხლის ანალოგიიდან გამომდინარე.

#### მუხლი 14. მუნიციპალიტეტების რეგისტრაცია

1. მუნიციპალიტეტების შესახებ ზოგადი მონაცემების ერთიანი აღწერის მიზნით იქმნება მუნიციპალიტეტების მონაცემთა სისტემური ერთობლიობა – მუნიციპალიტეტების რეესტრი.

2. მუნიციპალიტეტის სარეგისტრაციო მონაცემებია:

ა) მუნიციპალიტეტის დასახელება;

ბ) თვითმმართველ თემში შემავალი დასახლებების დასახელებები (თითოეული დასახლების კატეგორიის მითითებით);

გ) თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრის დასახელება;

დ) მუნიციპალიტეტის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი და რეგისტრაციის საიდენტიფიკაციო კოდი;

ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები და სქემატური რუკა.

3. სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის რეგისტრაციას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

საქართველოს კონსტიტუციის 1022 მუხლის თანახმად, პირველი კარის მე-3 თავში ჩამოყალიბებულია მუნიციპალიტეტის კომპეტენციები. ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები ექსკლუზიური ფუნქციებია. აღნიშნული მოთხოვნა ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედ კანონში ზოგ შემთხვევაში არ იყო დაკმაყოფილებული. ასევე უფლებამოსილებები აღრეული იყო უფლებამოსილების განხორციელების ფორმებთან და მექანიზმებთან. მაგალითად, საკუთარ უფლებამოსილებად განსაზღვრული იყო მუნიციპალური გეგმებისა და პროგრამების დამტკიცება (მე-16-მუხლის მე-2 პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტი), რაც წარმოადგენს არა უფლებამოსილებას, არამედ მისი განხორციელების მექანიზმს. კანონის ავტორის განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები დაზუსტდა ტერმინოლოგიური და შინაარსობრივი თვალსაზრისითაც. კოდექსის სიახლეა სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი და სახელმწიფო ორგანოებისაგან დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში სახელმწიფო სტანდარტების დადგენის უფლებამოსილების საკანონმდებლო დონეზე დაფიქსირება. აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას.

### **მუხლი 15. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეები**

#### **1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სახეებია:**

**ა) მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები;**

**ბ) მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებები.**

**2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება არის ამ კანონით დადგენილი უფლებამოსილება, რომელსაც ის დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს.**

**3. მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის**



**შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.**

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ორ სახეა გათვალისწინებული კანონით – საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. მოქმედი კანონი შესაბამისობაში მოვიდა ქარტიის იმ ნორმასთან, რომლითაც განსაზღვრული იყო მუნიციპალიტეტის საკუთარი-ექსკლუზიური უფლებამოსილებები, მოხდა მათი ასიმილირება, დელეგირებული უფლებამოსილებები საკუთარმა უფლებამოსილებებმა შთანთქა. დელეგირებული უფლებამოსილება ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კონკრეტულ სახელმწიფო სუბიექტთან. აღნიშნული მუხლი დაიხვეწა სამუშაო პროცესის დროს ევროსაბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები.**

**1. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიური უფლებამოსილებებია. ამ კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე.**

**2. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია:**

**ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება;**

**ბ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით;**



გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების, მართვა კანონით დადგენილი წესით;

დ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ე) მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება;

ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;

ზ) მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა;

თ) წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამედიცინო სისტემის განვითარება;

ი) მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

კ) ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება;

ლ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;

მ) გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში;

ო) შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება კანონით დადგენილი წესით;

პ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების, კერძოდ, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, თვითმმართველი ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბალის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის, სახელდება კანონით დადგენილი წესით;

ჟ) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;

რ) შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;

ს) სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;

ტ) ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;

უ) ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა;

ფ) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვეტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

კანონის პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სამართლებრივად სწორად განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების რეალიზება, მაგალითად კანონში იმპერატიულად განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, (16.2.„ტ“ მუხლი) ქვეპუნქტში მითითებული გარემოებები მუნიციპალიტეტის საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებებია მაშინ, როდესაც კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 და 46-ე მუხლით მსგავსი რეგულაციებია მხოლოდ დელეგირებულ უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული, ამდენად, სწორად უნდა ჩაერთოს თვითმმართველობა კულტურული მემკვიდრეობის უფლებამოსილების სფეროში. იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტმა განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილებები, შეიძლება საჭირო გახდეს უფლებების გაზრდა ისე, რომ არ დაირღვეს მესამე პირთა კანონიერი ინტერესები მაგ. ბიუჯეტის

დაგეგმარების, გადასახადის განაკვეთის დადგენის გაუქმების და სხვ. (16.2.„დ“ მუხლი) უფლებამოსილების განხორციელებისას შესაძლებელია საჭირო გახდეს დასაბეგრი ბაზის ცოდნა, რაც საჭიროებს საგადასახადო ორგანოებიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღებას. გარდამავალ რეჟიმშია უფლებამოსილებების რიგი ნორმები (16.2.„დ“ მუხლი) წყალმომარაგებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება.

საკუთარი უფლებამოსილებები და ექსკლუზიური უფლებამოსილებები ორ განსხვავებულ კონცეფციას წარმოადგენს; მაშასადამე, ასევე საჭიროა ექსკლუზიური უფლებამოსილებების განსაზღვრა. უნდა დადგინდეს „ექსკლუზიური“ უფლებამოსილება, ზოგადად, არის თუ არა სასარგებლო სამართლებრივი კონცეფცია. „საკუთარი უფლებამოსილებების“ უმრავლესობისთვის, კვლავ საჭიროა სახელმწიფოს გადანყვეტილება, მაგალითად, სხვადასხვა პროგრამების, დოკუმენტების მიღება გუბერნატორების მიერ. კონსტიტუციაში ნახსენებია იგივე სიტყვა, რომელიც მნიშვნელოვანია, როდესაც არსებობს რამდენიმე დონიანი თვითმმართველობა, რათა თავიდან აიცილონ რამდენიმე ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები ერთი და იმავე საკითხში და მათ შორის კონკურენცია. ქარტიაში გამოყენებულია სიტყვა „სრული“, რაც გულისხმობს, რომ ფუნქცია თუ ამოცანა სრულად უნდა გადაეცეს თვითმმართველობას და არ გაიყოს სახელმწიფოსა თუ სხვა თვითმმართველ ხელისუფლებასთან, ევროსაბჭოს რეკომენდაცია იყო ასევე მუხლს დამატებოდა ახალი პარაგრაფი შემდეგი ფორმით: „საგარეო ვაჭრობის, გამოფენის, ბაზრებისა და ბაზრობების კონტროლი.“ სახელმწიფოს სახელით მოქმედი მუნიციპალიტეტი – ეს შეიძლება წარმოადგენდეს დელეგირებულ უფლებამოსილებას, რადგანაც ასევე ეროვნულ ინტერესში შედის აღნიშნული პოლიტიკის არსებობა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამინისტროებს უფლება ექნებათ, გასცენ ინსტრუქციები აღნიშნულის შესახებ.

მუხლი 17. უფლებამოსილებების დელეგირების წესი და პირობები

1. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანომ მუნიციპალიტეტს შეიძლება გადასცეს სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტიანია.

2. სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს მიერ მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირება შეიძლება შესაბამისად საქართველოს საკანონმდებლო აქტით ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, აგრეთვე საქართველოს ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით, სათანადო მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით.

3. სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილებების ხელშეკრულებით დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს/ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. სათანადო ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტსა და შესაბამის სამინისტროს შორის, ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების მოთხოვნების დაცვით.

4. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დელეგირებული უფლებამოსილებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით განახორციელოს.

5. უფლებამოსილებების დელეგირებისას იმავე აქტით უნდა განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას გაუწევს.

ხელისუფლების ორგანოს მჭიდრო ურთიერთობა მუნიციპალიტეტთან, არსებული უფლებამოსილების გაძლიერება თვითმმართველობის განხორციელების მდგრადობასა და ურთიერთთანამშრომლობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს. უფლებამოსილებების დელეგირებას ხელისუფლება ახდენს როგორც წესი მაშინ, როცა განხორციელებაც ადგილობრივ დონეზე უფრო ეფექტურია, იმავე აქტით უნდა განისაზღვროს ის სამინისტრო, რომელიც დელე-



გირებული უფლებამოსილებების განხორციელებას სახელმწიფო დარგობრივ ზედამხედველობას გაუწევს, აღნიშნულმა პროცესმა ნერტილი უნდა დაუსვას დარგობრივი ზედამხედველობის მავნე პრაქტიკას და იგი სრულ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ქარტიასთან<sup>20</sup>. მნიშვნელოვანია რა როლი ჩამოუყალიბდება რეგიონში მთავრობის წარმომადგენელ გუბერნატორის/რწმუნებულის ინსტიტუტს, სამართლებრივი ზედამხედველობა, მაკონტროლებელი ფუნქცია ხელშემწყობი უნდა აღმოჩნდეს თვითმმართველობის დემოკრატიულად განხორციელებაში, მოქნილი ტექნიკური ფუნქციის გადაცემა მთავრობისგან შინაარსობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა მიესადაგოს ქარტიას. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპული ქარტიის გამოყენება ევროპის გამოცდილების ნაკლებად მქონე ქვეყნებისთვის გარკვეულწილად რისკის მატარებელია, შესაბამისად ამ ორი ფუნქციის გამიჯვნა საკუთარისა და დელეგირებულის პრაქტიკაშიც უნდა განხორციელდეს ერთგვაროვნად.

ევროსაბჭოს მოსაზრებით სავარაუდოდ, ეს მიდგომა შეესაბამება დადგენილ ნორმებს. მასში ნათლად უნდა იყოს ასახული, რომ დელეგირებული უფლებამოსილებები რჩება სახელმწიფო უფლებად, რომელსაც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის სახელისუფლებო პირები სახელმწიფოს სახელით დაინტერესებული სამინისტროს ზოგადი კონტროლის ქვეშ.

---

20 „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 8 – ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაზე; 1. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე შეიძლება გახორციელდეს კონსტიტუციით ან კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და მათ მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში. 2. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე, როგორც წესი, მიზნად უნდა ისახავდეს კანონსა და კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის მიღწევას. ამასთან, ადმინისტრაციული ზედამხედველობა შეიძლება გახორციელდეს მაღალი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც მათ დელეგირებული აქვთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის. 3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობა განხორციელდება ისეთი გზით, რომ მაკონტროლებელი ხელისუფლების ორგანოს ჩარევა პროპორციული იყოს იმ ინტერესების მნიშვნელობასთან, რომელთა დაცვაც არის განზრახული.

მუხლი 18. სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში

ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს უფლება აქვთ, მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების სფეროში შესაბამისი ნორმატიული აქტით დაადგინონ სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები.

მუხლი 19. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმები და მექანიზმები

მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) იღებენ/გამოსცემენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ბ) შეიმუშავებენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს;

გ) ახორციელებენ შესყიდვებს;

დ) დებენ ხელშეკრულებებს;

ე) იძენენ და ქმნიან მუნიციპალიტეტის საკუთრებას;

ვ) ფლობენ და განკარგავენ მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას, სარგებლობენ ამ ქონებით, აგრეთვე სახელმწიფო/ავტონომიური რესპუბლიკის და სხვა პირების ქონებით;

ზ) აფუძნებენ და მართავენ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს;

თ) იღებენ სესხს;

ი) ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას;

კ) მომსახურების ხარისხისა და მართვის ეფექტიანობის გასაზრდელად უზრუნველყოფენ ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვასა და განვითარებას;

ლ) ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს.



მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმებსა და მექანიზმების ჩამონათვალში შესაძლებელია არ შეგვხვდეს სხვა მუხლების უფლებამოსილების ჩამოთვლილი, შინაარსობრივად ფუნქციონული კომპეტენცია და მისი აღსრულების ინსტრუმენტებიც სხვა იყოს.

**მუხლი 20. მუნიციპალიტეტის უფლება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებასა და ამ პირში განწევრებაზე**

1. მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და განწევრდეს ამ პირში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს უფლება აქვს, ორგანიზება გაუწიოს ერთობლივ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროში, მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში, ითანამშრომლოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან (ასოციაციებთან), აგრეთვე დაამყაროს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში შესაბამის უცხოურ კავშირებთან (ასოციაციებთან) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

უდავოა, რომ ადგილობრივ დონეზე ხელისუფლების მართვაში რეალურად ჩართული ინსტიტუტები-სამოქალაქო საზოგადოება ნიშანია დემოკრატიულობის მაღალი ხარისხის, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტის წინასწარ განხილვაში ჩართულობა გულისხმობს გადამწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას, რაც გარკვეულწილად ანაწილებს პასუხისმგებლობას მხარეთა შორის, შესაბამისად მისი აღსრულების პროცედურის გატარება ტერიტორიულ ერთეულში უფრო მეტად მისაღები იქნება მოსახლეობისთვის.

აღნიშნულმა ნორმამ პარლამენტში კანონპროექტის განხ-

ილვის ეტაპზე განიცადა ცვლილება, ევროსაბჭოს მოსაზრებით მუნიციპალიტეტების ეროვნული ან რეგიონული ასოციაციების შექმნას, რომლებიც ეროვნული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ადგილობრივი თვითმმართველობების ინტერესებს წარმოადგენენ. ეს ხდება არა მხოლოდ კოორდინაციის, არამედ მერებისა და საბჭოს წევრებისთვის ტრენინგების ორგანიზების, საინფორმაციო ბუკლეტების დაბეჭდვის, ვებგვერდის უზრუნველყოფის და ა.შ. მიზნით. ევროსაბჭოსა და ადგილობრივი და რეგიონული კონგრესის წარმომადგენლების შეფასებით, მსგავსი ასოციაციები ნათლად არის განწერილი კანონით. მათი ეროვნული და ევროპული ინტერესების გათვალისწინებით მართებული იქნებოდა კანონში მათთვის განკუთვნილი ცალკე მუხლის არსებობა „კოდექსით დადგენილი კომპეტენციების ეფექტურად გამოყენებისა და მოსახლეობისთვის უკეთესი სერვისის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტებს აქვთ უფლება შექმნან ორგანოები (სტრუქტურები ან ფუნქციონალური ერთეულები) მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობისთვის; შეთანხმების საფუძველზე ორ ან რამდენიმე მუნიციპალიტეტს შეუძლია შექმნას ერთი ან რამდენიმე გაერთიანებული ორგანო თანამშრომლობისთვის (სტრუქტურები ან ფუნქციონალური ერთეულები), რომლებსაც გადასცემენ მათი ძალაუფლების კომპეტენციებში არსებულ გარკვეულ ერთიან ფუნქციებს შესაბამისი მასალითა და ფინანსური უზრუნველყოფით. სერვისის ერთობლივი მართვის რეგულაციები და პირობები, დაფინანსება და კონტროლის წესები მოცემული მუნიციპალიტეტებისთვის განისაზღვრება მუნიციპალიტეტებს შორის დადებული ხელშეკრულებით. ეს მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობის ორგანოები (სტრუქტურები ან ფუნქციონალური ერთეულები) დაიცავენ მათ სფეროში დადგენილ სამართლებრივ დებულებებსა და სახელმწიფო კონტროლს, რომელიც ვრცელდება მუნიციპალიტეტებზე, ასევე გავრცელდება აღნიშნულ სტრუქტურებზეც. ამგვარი მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობის ორგანოების (სტრუქტურები ან ფუნქციური ერთეულები) ჩამოყალიბების გამარტივების მიზნით საქართველოს მთავრობას შეუძლია გამოსცეს რეგულაციები და მოდელები.“ და ბოლოს, ალბათ საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ცალკე მუხლის შემუშავება

სასაზღვრო თანამშრომლობასთან დაკავშირებითაც, რომელიც არის ყველა სხვა დანარჩენისგან განსხვავებული საქმიანობა. „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ითანამშრომლოს მუნიციპალური ინტერესის საკითხებზე სხვა ქვეყნების ადგილობრივ თვითმმართველობებთან „ევროპული ჩარჩო კონვენცია ტერიტორიულ თემებსა და სახელისუფლებო პირებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“<sup>21</sup> ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში“<sup>22</sup>“.

პირველ მუხლი ვფიქრობთ ტექნიკური ხარვეზის მატარებელია, იმ შემთხვევაშითუ მუნიციპალიტეტი დააფუძნებს იურიდიულ პირს, განევიანებულიც ავტომატურად ჩაითვლება. სავარაუდოთ იგულისხმება რომ აფუძნებს ან წევრიანდება უკვე დაფუძნებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირში. ამიტომ უკეთესი იქნებოდა რომ დაწერილიყო „ან“ განევიანდეს ამ პირში.

**მუხლი 21. მუნიციპალიტეტების უფლება ერთობლივი საქმიანობის განხორციელების ორგანიზებაზე**

**1. მუნიციპალიტეტებს ამ კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების განევის მიზნით უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების საფუძველზე დააფუძნონ ერთობლივი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან შექმნან სამსახურები, რომლებსაც გადასცემენ მათი უფლებამოსილებით გათვალისწინებულ ცალკეულ ერთგვაროვან ფუნქციებს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით. აღნიშნული იურიდიული პირების მართვის, დაფინანსებისა და კონტროლის წესები და პირობები განისაზღვრება მუნიციპალიტეტებს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით.**

**2. ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, სხვა მუნიციპალიტეტთან დადოს ხელშეკრულება საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ.**

21 <http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/106.htm>

22 საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შეფასება – ევროპის საბჭო – დეკემბერი, 2013 წ.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებს ხელს აწერს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

**მუხლი 22. მუნიციპალიტეტის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა**

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან „ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუნიციპალიტეტის ორგანოები

კანონის მიღების ერთ-ერთ მიზეზად კანონის ავტორი ასახელებს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში არსებული პრობლემებს, კერძოდ, გამგეობის (მოგვიანებით თვითმმართველი ერთეულის) რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღებამ რეალურად ვერ უზრუნველყო თვითმმართველობაში მოსახლეობის ჩართვა. სამაგიეროდ, ხშირ შემთხვევაში, ის გამოიყენება საარჩევნო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, რაც მისი, როგორც საჯარო მოხელის, უფლებამოსილების ფარგლებს მიღმა დატოვავს, ყოფილი კანონმდებლობა არ იძლეოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებების, როგორც ექსკლუზიური და სრული კომპეტენციების სრულყოფილ გარანტიებს. ამასთან, ყოფილი ორგანული კანონის სხვადასხვა მუხლებში გვხვდებოდა უფლებამოსილებების ჩამონათვალი, რომელიც არ განეკუთვნებოდა თვითმმართველობის არც საკუთარ და არც დელეგირებულ უფლებამოსილებებს. მაგალითად, თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულის უფლებამოსილებები ან ადგილობრივი თვითმმართველობის ე.წ. დროებითი უფლებამოსილებები, რომელთა ჩამონათვალი წლიდან წლამდე მუდმივად იზრდებოდა. დაზუსტებას მოითხოვდა უფლებამოსილების დელეგირების წესი, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, პრობლემატური იყო დელეგირების განმახორციელებელი და შესაბამისად, დარგობრივ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოს იდენტიფიცირება, ეს კი საბოლოოდ დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ეფექტიანობაზე აისახებოდა, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მიზანი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ინსტიტუციური მონაცობის ქმედითი მოდელის შექმნაა, სადაც მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით არჩეული გამგებლის (მერის) ძალაუფლება დაბალანსებული იქნება ძლიერი და ქმედითი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ. ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი კომპეტენციების მკაფიოდ განსაზღვრას, მომსახურების ერთიანი მინიმალური სტანდარტების თანდათანობით შემოღებით, უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების

შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფით, მუნიციპალიტეტებში შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერი<sup>23</sup>.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია, (მუხლი 3.2) ითვალისწინებს თვითმმართველობის განხორციელების საჭიროებას დემოკრატიული ხელისუფლების შემადგენლობით, რომელიც, როგორც წესი გულისხმობს წარმომადგენლობით ორგანოს აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად ან მათ გარეშე, რომელიც ექვემდებარება პირველს, რაც ამავედროულად არ უნდა განიხილებოდეს პირდაპირი დემოკრატიის ხელისშემშლელ ფაქტორად.

კოდექსის პროექტის მე-2 კარი ეხება მუნიციპალიტეტის ორგანოებს. კოდექსის ავტორის განმარტებით მასში წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევის და თვითმმართველი ერთეულის ინსტიტუციური მოწყობის საკითხები შეიცავს მთელ რიგ სიახლეებს. საკრებულოს კომპეტენცია განერილია სფეროების მიხედვით: ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტობის განმსაზღვრელ სფეროში ბ) შიდა ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში; გ) აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში; დ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში; ე) მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სფეროში.

არჩევითი საკრებულოსთან ერთად, მუნიციპალიტეტს ჰყავს არჩევითი გამგებელი (მერი, თვითმმართველ ქალაქებში), რაც ზრდის გამგებლის, როგორც აღმასრულებელი ორგანოს როლს და მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების ხარისხს. (აღნიშნული სისტემა მოქმედებს: უნგრეთში, სლოვენიაში, პორტუგალიაში, იტალიაში, ბულგარეთში, გერმანიისა და ავსტრიის ზოგიერთ მინებში). კოდექსი ითვალისწინებს ადგილობრივ წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის დაბალანსებული ურთიერთთანამშრომლობისა და კრიზისის გადალახვის ეფექტურ მექანიზმებს. კერძოდ, გამიჯნული და დაზუსტებულია საკრებულოსა და გამგებლის (მერის) ფუნქციები. საკრებულო ფლობს ექსკლუზიურ უფლებას გამოსცეს ადგ-

23 განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“



ილობრივი ნორმატიული აქტები. გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს მიერ მიღებული აქტები ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნოს საკრებულოს. გამგებლის (მერის) მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის სახით წარმოდგენილია გამგებლის უფლებამოსილების პროცედურა. გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-ის წერილობითი შუამდგომლობა, რომელიც საკრებულოს მიერ განიხილება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ შუამდგომლობას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ორი მესამედი. უნდობლობის გამოცხადება იწვევს გამგებლის (მერის) უფლებამოსილების შეწყვეტას. საკრებულოს მიერ გამგებლისთვის (მერისთვის) უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხი არ შეიძლება დაისვას მომდევნო 6 თვის განმავლობაში<sup>24</sup>.

### **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო**

ქარტიის თანახმად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს<sup>25</sup>. ქარტიის მეექვსე მუხლი კი ადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ავტონომიას ადმინისტრაციული სტრუქტურების განსაზღვრაში, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ ყველაზე შესაფერისად ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ისევე, როგორც მათ ავტონომიას ადგილობრივი თანამშრომლების სტატუსთან, ანაზღაურებასთან, ტრენინგთან და კარიერულ პერსპექტივებთან დაკავშირებით.

24 განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

25 ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 4.2.



### **მუხლი 23. მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

**2. მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.**

**3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.**

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა, მათ შორის მაჟორიტართა და პროპორციული წესით არჩეულ პირთა რაოდენობა სასურველი იყო მითითებული ყოფილიყო ამავე კოდექსში, კანონის ავტორის განმარტებით ამის აუცილებლობა არ არსებობს, ასევე გასათვალისწინებელია თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის დროში გაწერილი პროცესიც. საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებით იმ შემთხვევაშიც კი თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის“ შესაბამისად ან თუ „ამომრჩევლის“ სტატუსის მისაღებად, ამომრჩეველთა რეგისტრაცია გულისხმობს უბრალოდ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციას შესაბამის მუნიციპალიტეტში, მთავარია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმის მიცემის უფლება არ იყოს შეზღუდული.

### **მუხლი 24. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება**

**1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება:**

**ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის სფეროში:**

ა.ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობების წარდგენა;

ა.გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების) დადგენა;

ა.დ) მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენა;

ა.ე) ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბალის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება;

ბ) ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

ბ.ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება;

ბ.ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება;

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

ბ.დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის შექმნა, კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება, კომისიის პერსონალური შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება და მათში ცვლილების შეტანა;

ბ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა და გაუქმება, დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

ბ.ვ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება;

ბ.ზ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართ-

ველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში მუნიციპალიტეტის/საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნა;

გ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში:

გ.ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

გ.ბ) ამ კანონის შესაბამისად გამგეობის/მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება;

გ.გ) ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის/მერიისთვის უნდობლობის გამოცხადება;

დ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:

დ.ა) ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება;

დ.ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება;

დ.გ) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერიის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს;

დ.დ) საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერიის თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრა;

დ.ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერიის წარდგინებით გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საჯარო მოსამსახურეთა თანამ-

დებობების რანგირების სისტემის გათვალისწინებით;

ე) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

ე.ა) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;

ე.ბ) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცება;

ე.გ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენა;

ე.დ) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება;

ე.ე) ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ე.ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის დადგენა.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება აგრეთვე ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები.

3. თუ ეს კანონი ან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული

**უფლებამოსილების განხორციელებისთვის პასუხისმგებელ მუნიციპალიტეტის ორგანოს, აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალებით – მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.**

**4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის უფლებამოსილება, რომელიც ამ კანონით ან საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულია, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება, არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს, თუ კანონი უშუალოდ არ ითვალისწინებს მისი გადაცემის შესაძლებლობას.**

საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ განსაზღვრული ჩამონათვალი თუ რა განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას<sup>26</sup>.

26 მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ; ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა; გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღთა ვაჭრობა; დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება; ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი; ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები; ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა; თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა; ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა; კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები; ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში; მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი; ნ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა; ო) კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და აკადემიური ხარისხების შესახებ; პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა; ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო



კოლეგიური ორგანოს – მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, მის უფლებამოსილებებს ასევე განეკუთვნება ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გად-ანწყვეტილებების მიღება და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები. კანონი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საკრებულოს უფლებამოსილების გადაცემის შესაძლებლობას თუ კანონი უშუალოდ არ ითვალისწინებს იგი არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს. საკითხის განხილვასთან დაკავშირებით დაისვა საკითხები: რატომ უნდა გადავიდეს ქონება ცენტრალურ ხელისუფლებაში, თუ იგი გაასხვისებს თანხა სად იქნება შეტანილი, ეს უფლებამოსილება რამდენ ნაწილად იყოფა, ერთი მიეკუთვნება საფინანსო საბიუჯეტოს და არელია საორგანიზაციოში.?

ისმის კითხვები იმასთან დაკავშირებით: რამდენად სამართლიანია პირდაპირი წესით არჩეული მერი პოლიტიკური მოტივით გადაირჩიონ, პოლიტიკური ანგარიშსწორებიდან უნდა იყოს დაცული პირდაპირი წესით ხალხის მიერ არჩეული მერი/გამგებელი. აღსაღნიშნავია, რომ უნდობლობის მექანიზმი, ავსტრია, იტალია, პოლონეთი და გერმანიის გარკვეული მექანიზმები, ზოგ ქვეყანაში გადარჩევის მექანიზმია საკრებულოს მიერ, შემოთავაზებული ვარიანტით ეს მკაფიოდ გამიჯნულია იმპიჩმენტისგან, მიზეზის გარეშე-ეს პოლიტიკური გადანწყვეტილება იქნება.

## **მუხლი 25. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა და შეკრება**

**1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას ინვესს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუშაობას შეუდგება, თუ შესაბამისი საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) ახალარ-**

---

კანონმდებლობა; რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება; ს) მინის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა; საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 3.1.

ჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევას.

2. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიხსნება, თუ მას ესწრება (რეგისტრირებულია) ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება უზუცესი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

3. ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილება ცნო მუნიციპალიტეტის საკრებულომ, არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. ამ დროიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის საკრებულოს.

4. თუ იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილება ცნო მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედზე ნაკლებია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა წყდება. ასეთ შემთხვევაში ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომდევნო სხდომას იწვევს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იმ დღიდან 10 დღის ვადაში, როდესაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე იმდენი პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხის დასმა, რამდენიც საკმარისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ორ მესამედამდე შესავსებად.

5. თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში ვერ მოხერხდა შესაბამისი რაოდენობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა, ინიშნება ხელახალი არჩევნები.



მუხლი 26. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის წესი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომებს თვეში ერთხელ მაინც ინვეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოინვევა:

- ა) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წინადადებით;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით;
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით;
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წინადადებით;
- ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტის მოთხოვნით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნის (წინადადების) წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ინვეს რიგგარეშე სხდომას. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ერთი კვირის ვადაში არ მოინვეს რიგგარეშე სხდომას, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეიკრიბოს.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნისას – სხდომაზე დამსწრე უხუცესი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებს

**ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ პირის თანამდებობაზე არჩევის, თანამდებობიდან გადაყენების და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტისას.**

ევროპის ქვეყნებში მუნიციპალიტეტის საბჭოს სხდომების მინიმალური/სავალდებულო რაოდენობა დადგენილია შესაბამისი კანონებით. მაგალითად: ნიდერლანდები – საგანგებო სხდომას ინვევენ ბურგომისტრის მიერ დეპუტატთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე; სომხეთსა და ლიტვაში – გარდა გეგმიური სხდომებისა, ქალაქის მერს, ან მისი არყოფნის შემთხვევაში, მერის მოადგილეს შეუძლია მოიწვიოს საგანგებო სხდომა, თუ ამას წერილობითი ფორმით მოითხოვს საბჭოს წევრთა 1/3 და თუ მოთხოვნას თან ერთვის განსახილველი პრობლემების ჩამონათვალი და ამ პრობლემის განხორციელების გეგმა. სხდომა უნდა მოიწვიოს მოთხოვნის შემოსვლიდან ორი კვირის განმავლობაში; კანონით ფრაქციის წევრთა მინიმალური ოდენობის განსაზღვრა გვხვდება ლიტვასა და ლატვიაში<sup>27</sup>.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევისა და საკრებულოს შეკრების შესახებ განსაზღვრული ერთკვირიანი ლოდინის მექანიზმი ზედმეტად გაჭიანურებული დროა, მაშინ, როდესაც საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევა და შეკრება ხდება 48 საათის განმავლობაში. ზედმეტად გართულებული ხომ არ იქნება პროცესი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1 პროცენტის მოთხოვნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვევისთვის. განსხვავებული მოსაზრებაა ასევე პირის თანამდებობაზე არჩევის, თანამდებობიდან გადაყენების და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტისას ფარული კენჭისყრის პროცედურასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც საქართველოს პარლამენტში მთავრობის იმპიჩმენტის კი არ არის ფარული. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პერსონალური საკითხების გადაწყვეტისას რეკომენდირებულია ამომრჩევლები იყვნენ თავისუფლები ფსიქოლოგიურად ან სხვა

27 საქართველოს პარლამენტი, კვლევითი დეპარტამენტი.

ზენოლისაგან, ამასთან პარლამენტში კოლეგიალურად ხდება გადანიშნულებების მიღება შემადგენლობის მიმართ, საკრებულოში პერსონალურად ხდება მისი განხილვა, ხშირ შემთხვევაში არსებობს ნათესაური კავშირი რამაც შესაძლებელია შექმნას გარკვეული უხერხულობა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, რამაც შესაძლებელია საჯარო სამსახურში ნების თავისუფალი გამოვლენის ხარისხი შეამციროს

საკრებულოს რიგგარეშე სესიისთვის შეკრების პროცედურებთან დაკავშირებით კანონპროექტის განხილვის დროს გარკვეული მოსაზრებები ჰქონდა ევროსაბჭოსაც (იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე არ მოინვესტირებდა რიგგარეშე სესიას ერთი კვირის ვადაში), რომელიც დისკრეციის უფლებით სარგებლობის საშუალებას იძლევა (როდის იქნება მონვეული? რატომ და როდის შეეძლება საკრებულოს მდივანს – განსხვავებით საკრებულოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან უხელმძღვანელოს რიგგარეშე სესიას?) კოდექსში დეტალურადაა წარმოდგენილი თითოეული ადგილობრივი თანამდებობის პირის უფლებამოსილება, თუმცა მასში არაფერია მოცემული საკრებულოს მდივნის დანიშვნის, უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ. ამავდროულად მეექვსე ნაწილი ჩამოყალიბდა რეკომენდაციების გათვალისწინებით.

## **მუხლი 27. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო**

**1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო შედგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების), მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან.**

### **2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო:**

**ა) ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს;**

**ბ) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას;**

**გ) განიხილავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე გასატან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პრო-**

*ექტებზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და წინადადებებს;*

*დ) ისმენს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;*

*ე) ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.*

კანონის პროექტთან დაკავშირებით ევროსაბჭოს მოსაზრება გახლდათ ის, რომ საკრებულოს შიდა ორგანიზება და ფუნქციონირება პარლამენტისთვის დადგენილი ნიმუშის მიხედვით ხორციელდება. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე შესაძლებელია, რომ საკრებულოს სულ მცირე სამმა წევრმა შექმნას ფრაქცია (მუხლი 30.4), როგორც პარტიულ ასევე არაპარტიულ საფუძველზე (ეროვნული, ტერიტორიული ან რელიგიური და პროფესიული კრიტერიუმების გარდა). თუმცა ასეთი ფრაქციების ფუნქციური გამოყენება ადგილობრივი თვითმმართველობებში არ არის მკაფიოდ გამოხატული კოდექსის პროექტში, უფრო მეტიც, არც ფრაქციების თავჯდომარე და თავად ფრაქციებიც არ ჩანს საკრებულოსთან კავშირში. ეს საკითხი საბჭოების ეფექტურ ფუნქციონირებისას შეიძლება წამოიჭრას, თუ ის ხელს შეუწყობს პოლიტიკური ფრაგმენტაციას, თუმცა ეს წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის პოლიტიკურ გადანყვეტილებას“

**მუხლი 28. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია**

**1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის/მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით იქმნება კომისიები, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5-ს.**

**2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე აირჩევა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ მუნიციპალიტეტის**

საკრებულოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში, ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით შეიძლება სხვა პირთა მონაწილეობა.

**3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საკრებულოს აპარატის მეშვეობით. რაც შეეხება საკრებულოს კომისიათა რაოდენობას იგი განსაზღვრულია ორგანული კანონის 28 მუხლით რომლითაც განსაზღვრულია მათი მაქსიმალური რაოდენობა. ფინანსური და სხვა გარემოებების გათვალისწინებით მოცემულ ჩარჩოებში გადანყვეტს ინდივიდუალურად მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკითხის გადანყვეტისას საკრებულო უნდა ჩაეტიოს არსებულ ჩარჩოებში, სწორედ ეს არის შემაკავებელი ფაქტორი ამ მოდელის გამოიყენებისას, თუკი სხვა სახით განისაზღვრება ეს მოდელი, ბუნებრივია იგი არერთგვაროვანი მიდგომა იქნება. რაც შეეხება კომისიის რაოდენობის მაქსიმალური ზღვარის დადგენას, იგი გამომდინარეობს კომისიის მუშაობის ზოგადი ხასიათიდან, განვლილი პრაქტიკიდან და ზოგადად მიღებული ოპტიმალური ოდენობიდან.

**მუხლი 29. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი**

**1. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ცალკეულ საკითხთა შესასწავლად, საჭიროების შემთხვევაში შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები.**

**2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელსა და წევრებს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, თა-**



ვისი შემადგენლობიდან ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ნ თვეს.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეყვანილი უნდა იქნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება სხვა პირთა მოწვევაც.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესი განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით იყო მოსაზრება, რომ მუხლი ზოგადია და საჭიროებდა მეტ სპეციფიკას, საკრებულოში უმცირესობის ინტერესების დამატებითი გარანტიისთვის, სამუშაო ჯგუფში სხვა პირთა-ექსპერტთა მოწვევასთან და პროპორციული წესით კვოტის განსაზღვრასთან დაკავშირებით, თუმცა კანონმდებელმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წესის განსაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს მიანდო.

### **მუხლი 30. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში.

2. ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრებს უფლება აქვთ, გაერთიანდნენ მხოლოდ ერთსა და იმავე ფრაქციაში (ასეთი ფრაქცია შეიძლება შექმნან ორი ან მეტი პარტიის წევრებმაც). საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ უპარტიო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს მხოლოდ ამ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარ-

ტიების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფრაქციაში. არჩევნებში მონაწილე პარტიის წარდგენით არჩეულ უპარტიო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს ფრაქციაში მხოლოდ ამ პარტიის წევრებთან ერთად.

3. ფრაქციის შექმნის მსურველი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიმუშავენ ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმასა და წესდებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

4. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

6. ფრაქციის შექმნა შესაძლებელია როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე.

7. დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, რელიგიური, პროფესიული, პირადი ან ტერიტორიული (საცხოვრებელი ადგილის) ნიშნით.

### **მუხლი 31. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსსა და აპარატის მოსამსახურეებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ფრაქციის შექმნის შეზღუდვა სავარაუდოდ გამოიწვია მოსალოდნელმა რისკებმა რომელიც შესაძლებელია ქვეყნის სუვერენიტეტისთვის და ეროვნული უსაფრთხოებისთვის პროვოცირების მცდელობისთვის იყოს გამოყენებული, თავისთავად ფრაქციის ტერიტორიული ნიშნის სახელის ტარება (მაგალითად ფრაქცია თბილისელები) თუმცა აქ საუბარია არა მხოლოდ სახელწოდე-



ბაზე, არამედ ვიწრო დისკრიმინაციული ხასიათის გაერთიანების შექმნაზე, რომელიც სცილდება თვითმმართველობის ინტერესებს, ეს შეიძლება იყოს ეროვნული, რელიგიური, პროფესიული, პირადი ან ტერიტორიული (საცხოვრებელი ადგილის) ნიშნით. (მუხლი 30.7)

ფრაქციისთვის აპარატის არყოლის ფაქტს ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს ფრაქციებს შორის თანასწორობის ბალანსის დარღვევად, მათი აზრით, ფრაქციებს უნდა მიეცეს ერთნაირი „თამაშის“ საშუალება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძველი კანონი ფრაქციების არც ისე მიზანმიმართული დაფინანსების საშუალებას იძლეოდა, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია ის, რომ ხშირ შემთხვევაში უფუნქციოდ დარჩენილი ფრაქციები მხოლოდ ხელფასს იღებდნენ, რომელიც ხშირ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურის საშუალო ხელფასის ორმაგი ოდენობის იყო. რა თქმა უნდა, ფინანსური კუთხით არგუმენტის დასაბუთებამ არ უნდა შეაფერხოს საკრებულოს დემოკრატიულად ფუნქციონირება და საკრებულოს ფრაქციებს თუნდაც ერთობლივი აპარატის საშუალებით უნდა მიეცეთ საქმიანობის თავისუფლად განხორციელების საშუალება.

**მუხლი 32. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები**

*მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:*

- ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;*
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;*
- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;*
- დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.*

კანონის განხილვის ეტაპზე პარლამენტის წევრთა მოთხოვნით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების ჩამონათვალს დაემატა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.

**მუხლი 33. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

**1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლე-**

ბამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრს.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატების წარდგენის შემდეგ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე აცხადებს კანდიდატთა სიას და კანდიდატებისაგან ითხოვს თანხმობას, კენჭი იყარონ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრისათვის ადგენს კანდიდატთა ერთიან სიას მათი წარდგენის რიგითობის მიხედვით.

4. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში 1 კანდიდატი მონაწილეობდა და მან ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები.

5. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში 2 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას იმართება ხელახალი არჩევნები.

6. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში

2-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება არჩევნების მეორე ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმები მიიღეს. მეორე ტურში კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას იმართება ხელახალი არჩევნები. თუ მეორე ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნების მეორე ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის

მიხედვით მომდევნო კანდიდატს.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატს უფლება აქვს, ყოველი კენჭისყრის წინ მოხსნას თავისი კანდიდატურა.

8. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად ერთი და იმავე პირის წარდგენა შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

**მუხლი 34. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენება**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ მიიღო გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების პროცედურის ხელმეორედ დაწყება მომდევნო 3 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

**მუხლი 35. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილება**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს, წარმართავს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე დახურულად აცხადებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის მიმდინარე

ობისას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში წესრიგის დაცვას;

გ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას;

დ) ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

ე) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

ვ) კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობას;

ზ) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

თ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში იწვევს ექსპერტებსა და სპეციალისტებს; მათთან დებს და აუქმებს ხელშეკრულებებს;

ი) ხელს აწერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებს, განკარგულებებსა და სხდომების ოქმებს;

კ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებს;

ლ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს განუელი მუშაობის შესახებ ანგარიშს;

მ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებას და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულებას;

ნ) ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ო) იღებს გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის საკრებუ-

ლოს აპარატის მოსამსახურეთა ნახალისებისა და მათთვის დის-  
ციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

პ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იღებს  
გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოში პირის ლო-  
ბისტად რეგისტრაციის შესახებ;

ჟ) ახორციელებს ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონ-  
მდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუ-  
ნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინი-  
ჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ანგარიშ-  
ვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.**

ევროსაბჭოს მოსაზრებით, საკრებულოს თავმჯდომარე უნდა  
აირჩიოს(მუხლი33) და გაათავისუფლოს (მუხლი 34) მუნიცი-  
პალიტეტის საკრებულომ. მისი უფლებამოსილება (მუხლი 35)  
ძირითადად საკრებულოს შიდა ორგანიზებასა და ფუნქციონი-  
რებას მოიცავს. თუმცა მისი წარმომადგენლობითი ფუნქცია შეი-  
ძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს გამგებელის/მერის წარმომად-  
გენლობით ფუნქციასთან. მუხლი 32.1.ზ“ ითვალისწინებს, რომ  
თავმჯდომარე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ  
კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში  
მაშინ, როცა მუხლი 54.1.ე.ა“ ითვალისწინებს, რომ „გამგებელი/  
მერი მესამე მხარესთან ურთიერთობისას წარმოადგენს თვით-  
მართველ ერთეულს, (კანონში ეს ნაწილი გადატანილია 32.1.ე.ბ“  
პუნქტში.) ხელს აწერს მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ  
ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. შეიძლება გაჩნდეს ეჭვი ამ  
ნორმის რელევანტურობაზე, იმის შესახებ, რომ საკრებულოს თავ-  
მჯდომარე წარმოადგენს საკრებულოს, ის ხემძღვანელობს შეხვე-  
დრებს და იღებს გადაწყვეტილებებს, ხოლო მუნიციპალიტეტის  
წარმომადგენელი არის მხოლოდ მერი. მნიშვნელოვანია თავიდან  
ავიცილოთ გაუგებრობა და კონკურენცია ამ ორ ოფიციალურ  
პირს შორის, რომელთაც უნდა ითანამშრომლონ მუნიციპალიტე-  
ტის ფუნქციების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყო-  
ფად. ევროსაბჭოს მოსაზრებით ადგილობრივი თვითმმართველო-  
ბის სფეროში,სხვადასხვა კანონში 2000-2006 წლებში შეტანილი



ცვლილებებისგან განსხვავებით, რომელთა მიხედვითაც მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი საბჭოების როლი გაიზარდა და შემცირდა აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციები, ამჟამინდელი საკანონმდებლო რეფორმა წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ძირითადი დებულებების კოდიფიკაციას და მიზნად ისახავს საკრებულოსა და გამგებლის/მერების უფლებამოსილებათა უკეთესად დაბალანსებას და, ამავდროულად, იღებს ანგარიშვალდებულების, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან წარმომადგენლობითი ორგანოების და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების მექანიზმებს.

**მუხლი 36. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ასრულებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გადაყენებისას.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მენუთედმა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომ-

არის მოადგილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გად-  
ანყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახე-  
ვარზე მეტი.

**მუხლი 37. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯ-  
დომარე**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს  
თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე  
მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტე-  
ტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის  
დასახელების უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სიითი შემადგენლობის ერთ მეხუთედსა და მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ფრაქციას.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისი-  
ის სხდომებს;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, მუ-  
ნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიცი-  
პალიტეტის კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების  
დაცვას;

გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს,  
განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, მუნიცი-  
პალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტე-  
ტის საკრებულოს კომისიის დებულებით დადგენილი წესით გან-  
საზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;

დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შე-  
დეგებს;

ე) ხელს აწერს კომისიის სხდომების ოქმებს;

ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;

ზ) ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
წინაშე;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიცი-  
პალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტე-



ტის საკრებულოს კომისიის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვან მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესუთედმა, შესაბამისი კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

**მუხლი 38. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას ხელმძღვანელობს ფრაქციის თავმჯდომარე, რომლის არჩევის წესი და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წესდებით.

საერთაშორისო პრაქტიკა და აღიარებული პრინციპებით დამკვიდრებულია, რომ არჩევნების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მოხვედრილი დეპუტატები ქმნიან ფრაქციას, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისაგან და რომელიც სხდომაზე განაცხადებს, რომ საბჭოში თავის საქმიანობას განაგრძობს ფრაქციის სახით<sup>28</sup>.

**მუხლი 39. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობა**

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯა-

28 საქართველოს პარლამენტი, კვლევითი დეპარტამენტი.

რო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით.

**მუხლი 40. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსი არის მისი კანონით განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განწევვა დაუშვებელია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავისი მოვალეობების შესრულებისას შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა დაუშვებელია.

5. თავისუფალი მანდატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

7. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და გარანტიები განისაზღვრება ამ კანონითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

8. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია იყოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთი კომისიის შემად-

გენლობაში მაინც. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იმა-  
ვდროულად შეიძლება იყოს სხვა კომისიის შემადგენლობაში, მა-  
გრამ ჯამში არაუმეტეს ორისა.

9. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დამსაქმებელს უფლება არ აქვს, შეზღუდოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლება, მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მისი კომისიის, ფრაქციის და დროებითი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეი-  
ცავს შეთანხმებას აღნიშნული საფუძვლით დასაქმებულის უფლების შეზღუდვის შესახებ, ბათილია. დაუშვებელია ამ სა-  
ფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლება, დაბალხელფა-  
სიან სამუშაოზე გადაყვანა ან სხვაგვარი დისკრიმინაცია.

საკრებულოს წევრად საქართველოს მოქალაქის არჩევა აღ-  
ნიშნული კანონით შესაძლებელია, მხოლოდ ერთი ბარიერის გადალახვის საფუძველზე – კენჭისყრის დღისთვის უნდა იყოს 21 წლის, მიუხედავად იმისა, მას უკანასკნელ პერიოდში რამდენი ხანი აქვს ნაცხოვრები, კანონპროექტის თავდაპირველ ვარიან-  
ტში აღნიშნული შეზღუდვა შეადგენდა 2 წელს, თუმცა კანონ-  
ში ეს და თქმა აღარ გვხდება. (მუხლ40.2) თუმცა სპეციალური ნორმა საქართველოს საარჩევნო კოდექსი (მუხლი 134) ავსებს ამ პირობას სადაც იმპერატიულად არის განერილი თუ რა კრიტე-  
რიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს საკრებულოს წევრად ასარჩევი კანდიდატი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს ერთ-  
დროულად იყოს საკრებულოს ორ კომისიაში, თუმცა კანონი ავალდებულებს ერთ კომისიაში ყოფნას.

კანონი ზღუდავს დამსაქმებლის უფლებებს მუნიციპალიტე-  
ტის საკრებულოს წევრის მიერ თავისი ფუნქციების განხორ-  
ციელების პერიოდში მასთან შრომითი პირობების გაუარესებას-  
თან. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს. უდავოა, რომ საქართველოს „შრომის კოდექსის“ შრომითი ურთიერთობის სპეციალური მარეგულირე-  
ბელი ნორმები ეწინააღმდეგება განსახილველ ნორმას. (მუხლი

40.9) ვფიქრობთ, განსახილველი ორგანული კანონის ამოქმედება იწვევდა მინიმუმ „შრომის კოდექსში“ შესაბამის ცვლილებას. საკრებულოს ნევრობა (გარდა თანამდებობის პირებისა) არ ანაზღაურდება და გარკვეულწილად საზოგადოებამ უნდა გაიღოს თავისი წილი სახელმწიფოს ნებაზე – ხალხმა მართოს ხელისუფლება ადგილობრივ დონეზე, თუმცა ქვეყანაში არც თუ ისე დასაქმების მაღალი მაჩვენებლის პირობებში დამსაქმებლის მიდგომა დასაქმებულების მიმართ (რომლებიც არიან საკრებულოს ნევრები) შესაძლებელია არც თუ ისე ჰარმონიული აღმორჩნდეს, შესაძლებელია იყოს შემთხვევები დასაქმებულებმა არაკეთილსინდისიერად გამოიყენონ მათი მდგომარეობა. უდავოა, რომ კერძო სექტორში მსგავს ურთიერთობებს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ვფიქრობთ მეტი რეგულაციებია საჭირო ან სასამართლო პრაქტიკა სწორად უნდა ჩამოყალიბდეს, რათა ერთი მხრივ, საკრებულოს მუშაობის ეფექტურ საქმიანობას ხელი არ შეეშალოს და მეორე მხრივ, სრული უმუშევრობის ფონზე დასაქმებული არ შეეცადოს არსებული შეღავათით სამუშაოს შესრულების თავის არიდებას.

საკრებულოს ნევრებს გააჩნიათ 4 წლიანი წარმომადგენლობითი მანდატი, რაც ევროსაბჭოს მოსაზრებით ამომრჩევლებს არ აძლევს მისი გაუქმების საშუალებას, თუმცა არც ხელს უშლის მათ, ახლო ურთიერთობა ჰქონდეთ მუნიციპალიტეტის მოქალაქეებთან. ვინაიდან საკრებულოს რიგითი ნევრების მანდატი უნდა გახორციელდეს თავისუფლად, ანაზღაურების გარეშე, მუხლი 40.9) უზრუნველყოფს მათი სტატუსის მყარ გარანტიებს. აგრეთვე, საკრებულოს რიგითი ნევრის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება (მუხლი 41.1.) წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც სრულად შეესაბამება ქარტიის მე-7 მუხლის მოთხოვნებს. საკრებულოს თავჯდომარეებისა და მოადგილეების, ასევე კომისიის თავჯდომარეების ანაზღაურება, ხორციელდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

**მუხლი 41. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანაზღაურება**

**1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა.**

**2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.**

**3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება აუნაზღაურდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.**

**4. დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით.**

საკრებულოს წევრის საქმიანობა რომ არაანაზღაურებადია, ამის შესახებ კანდიდატმა იცის მაშინ, როცა იგი მიდის არჩევნებზე, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ასეთი მაგალითი ხშირია, მაგ. გერმანიაში არ წევრი არ იღებს გასამრჯელოს. საკრებულოს წევრობა არ არის მუდმივი საქმიანობისთვის განწირული საქმიანობა, რალაც პერიოდი ის უნდა იყოს პოლიტიკური ან სხვა ტიპის საზოგადოებრივი მოტივაციის მქონე პირი, რომელიც თავისი რაიონის, მხარის ან ბიუჯეტის მიმართ დაკავშირებულ საქმიანობაში აქვს სურვილი იყოს ჩართული, ნვლილი მიიღოს ქვეყნის მართვაში ადგილობრივ დონეზე, მას ვერ დავუახლოვებთ საჯარო მოხელეს ან პარლამენტის წევრს. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ხარჯები ხორციელდება მხოლოდ განეული ხარჯების ადეკვატურად, პრემიებისა და დანამატების სახით მისი ანაზღაურება დაუშვებელია.

მუხლი 42. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს:

ა) იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ბ) ეკავოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის თანამდებობა, გარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობისა;

გ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი;

დ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

ე) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევენ, ნიშნავენ ან ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;

ვ) იმუშაოს საქართველოს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემაში;

ზ) იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე;

თ) იმუშაოს იმ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;

ი) იმუშაოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში/მერიაში;

კ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საწარმოს (საწარმოების) მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა), აგრეთვე იყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე;

ლ) იმუშაოს სხვა ქვეყნის საჯარო სამსახურში.



მუხლი 43. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა და შეჩერება

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

- ა) უფლებამოსილება პირადი განცხადებით მოიხსნა;
- ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
- გ) სასამართლომ აღიარა ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;
- დ) შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა;
- ე) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ორ თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში;
- ვ) დაიკავა ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა;
- ზ) გარდაიცვალა.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება აგრეთვე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფაქტების შესახებ ინფორმაციას, გარდა იმავე პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს/თანამდებობის პირს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნის შესახებ წერილობით აცნობებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმ-

ჯდომარეს. მისი უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად ითვლება შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღე.

5. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობაში ან არღვევს ამ კანონით გასაზღვრულ თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით არკვევს გაცდენის მიზეზს ან ამონმებს/გამოითხოვს ინფორმაციას თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დასადაგენად. თუ დადასტურდა, რომ გაცდენის მიზეზი არასაპატიოა ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი/თანამდებობის პირი არღვევს თანამდებობრივი შეუთავსებლობის მოთხოვნებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისია ამზადებს დასკვნას და წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის/თანამდებობის პირისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება ძალაშია შესაბამისი ვადის (6 თვის) გასვლის/თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან.

6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება სასამართლოს მიერ მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში. უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება შესაბამისად პატიმრობის ან ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით.

7. მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გაუქმების ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში:

ა) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს აღუდგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის იმ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც არის იგი, ხოლო მუნიცი-

პალიტიკის საკრებულოს თანამდებობის პირს მიეცემა განაცდური ხელფასი;

ბ) მუნიციპალიტიკის საკრებულოს წევრს, თუ გასულია იმ მუნიციპალიტიკის საკრებულოს უფლებამოსილების ვადა, რომლის წევრიც იყო იგი, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩაეთვლება მუნიციპალიტიკის საკრებულოს წევრად ყოფნის საერთო ვადაში, ხოლო მუნიციპალიტიკის საკრებულოს თანამდებობის პირს მიეცემა შესაბამისი განაცდური ხელფასი.

**მუხლი 44. მუნიციპალიტიკის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმები**

მუნიციპალიტიკის საკრებულოს წევრის საქმიანობის ფორმებია:

- ა) მუნიციპალიტიკის საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა;
- ბ) მუნიციპალიტიკის საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და ინიცირება;
- გ) მუნიციპალიტიკის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა;
- დ) მუნიციპალიტიკის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი/თანამდებობის პირისადმი კითხვით მიმართვა;
- ე) ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვა;
- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ფორმები.

**მუხლი 45. მუნიციპალიტიკის საკრებულოს წევრის ზოგადი უფლებამოსილებები და ვალდებულებები**

1. მუნიციპალიტიკის საკრებულოს წევრი უფლებამოსილია:

ა) კითხვით მიმართოს მუნიციპალიტიკის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, გამგებელს/მერს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან, ერთი კვირის ვადაში უპასუხონ მუნიციპალიტიკის საკრებულოს წევრის შეკითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით;

ბ) შეუფერხებლად შეხვდეს მუნიციპალიტიკის საკრებუ-

ლოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

გ) უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით, რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად;

ე) მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დადგენილი წესით მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;

ვ) წარადგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ზ) წარადგინოს წინადადება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია განიხილოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ინიცირების წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დასმული საკითხები.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ყველა საკითხის განხილვისას სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ ორგანოს მუშაობაში მონაწილეობისას, რომლის წევრიც არ არის.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვედეს მოქალაქეებს;

გ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში;

დ) არ გააზმაუროს და პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის

შესაბამისად დაცულია გასაჯაროებისგან.

5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი ან მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი თქვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც აქვს პირადი ინტერესი, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც გავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

მუხლი 46. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილებების განხორციელება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე:

ა) დასვას საკითხი განსახილველად;

ბ) წარადგინოს შენიშვნები და წინადადებები მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;

გ) მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს, მიიღოს პასუხი და შეაფასოს იგი;

დ) გააცნოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;

ე) გამოთქვას აზრი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაქმნელი ორგანოებისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელთაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა მუნიციპალიტეტის საკრებულო;

ვ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვაში;

ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.



2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცედურული საკითხები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

მუხლი 47. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩევლებთან მოიცავს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

ბ) მოქალაქეთა მიღებას;

გ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანოზაციებთან და პოლიტიკურ გაერთიანებებთან თანამშრომლობას;

დ) განუული მუშაობის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირებას.



## მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო

უნდა აღინიშნოს, რომ ქარტიის მე-3 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება ხორციელდება თავისუფლად არჩეული საბჭოების ანსამბლებების მიერ და ეს უფლება ატარებს ოფციალურ ხასიათს. მათ წინაშე არსებობენ პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები, ამასთან, ევროპულ პრაქტიკაში ვხვდებით მყარ მაგალითებს აღმასრულებელი ორგანოების მიმართ. მათგან დიდი უმრავლესობა არჩეულია ან უშუალოდ მოქალაქეთა მიერ, ან საბჭოებისა და ასამბლებების მიერ. ევროსაბჭოს მოსაზრებით ერთი მხრივ, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის ორი რეკომენდაცია ეყრდნობა საქართველოში მონიტორინგის მისიის მიერ შეგროვებულ ცხრანლიან შედეგებს, რამაც არგუმენტირებულად დაადასტურა პოზიცია, რომლის მიხედვითაც თვითმმართველი ქალაქების მერებისა და სხვა მუნიციპალიტეტების გამგებლების პირდაპირი არჩევნები – 2010 წელს თბილისში მერისათვის დამკვიდრებული მოდელის შემდგომ – საქართველოში არსებული კონკრეტული სიტუაციისათვის შესაბამისი გადაწყვეტილება უნდა იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება გამგებლის/მერის პირდაპირი არჩევნების შესახებ მისასალმებელია, ამასთან, გამგებლის/მერის სამართლებრივი რეჟიმი ყოველთვის მკაფიო არ არის, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს დასკვნამდე, რომ საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების სისტემაში გამგებლის/მერის ინსტიტუტისათვის შემოღებული მოდელი, შესაძლოა, შედგენილია ნახევრად საპრეზიდენტო ან საპრეზიდენტო პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის არსებულ ურთიერთობაზე დაყრდნობით. შეიძლება, ეს გადაწყვეტილება მისაღებიც იყოს კონკრეტულ ვითარებაში საქართველოსთვის – ქვეყნისთვის, სადაც მასშტაბურად, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში მიმდინარეობს სამართლებრივი ჩარჩოებისა და პოლიტიკური სისტემების ცვლილებები. მიუხედავად ამისა, წარმატებული იმპლემენტაცია, შესაძლოა, შეაფერხოს გაურკვეველმა, ორაზროვანმა და, ზოგჯერ, სარისკო სამართლებრივი დებულებებმაც. მიუხედავად იმისა, რომ **მეტუთე თავის** დებულებათა უმეტესი წილი შესაბამება ევროპულ სტანდარტებს,

#### **მუხლი 48. გამგებელი/მერი**

**1. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის გამგებელი თვითმმართველ თემში და მერი თვითმმართველ ქალაქში. გამგებელი/მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად.**

**2. გამგებელი/მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.**

გამგებელს/მერს კანონმდებელი აღწერს როგორც მუნიციპალიტეტის/თვითმმართველი ქალაქის აღმასრულებელ ორგანოს; ამდენად, ევროსაბჭოს მოსაზრებით რთულია, გავიგოთ, როგორ შეიძლება პირი იყოს „მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი“, როდესაც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება ეკუთვნის საკრებულოს – მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოს. მეორე მხრივ, გამგებლის/მერის პასუხისმგებლობა საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე აპირისპირებს სერიოზული ანგარიშვალდებულების (პასუხისმგებლობის) მატარებელ ინსტიტუტებს. ამასთან, გამგებლად არჩევის უფლებისათვის წაყენებული მოთხოვნები (მუხლი 49.2) გამგებლად/მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე საკრებულოს წევრთა არჩევისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები (21 წლის ასაკი) ზემოაღნიშნული ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გამგებლის/მერების თანამდებობისთვის კანდიდატები საკუთარ თავს აყენებენ რისკის ქვეშ ამ თანამდებობის დაკავებისას, ამის საკომპენსაციოდ ამ თანამდებობისთვის მნიშვნელოვანი უფლებებია გათვალისწინებული. ევროპულ პრაქტიკაში ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების პირდაპირი არჩევნებით არ კეთდება აქცენტი ამგვარ ხელმძღვანელ პირებზე, აქედან გამომდინარე, არასოდეს

დამდგარა ადგილობრივ დონეზე ნახევრად-საპრეზიდენტო ან საპრეზიდენტო თანამდებობის კონფიგურაციის ვითარება, კიდევ უფრო ნაკლებად დგება ვითარება, როდესაც მერის მიმართ უნდობლობის გამოცხადება პოლიტიკურ ნიადაგზე შეიძლება მოხდეს. აღნიშნული თემის განხილვას კვლავ დაუბრუნდებით.

**მუხლი 49. გამგებლის/მერის არჩევა**

**1. გამგებელი/მერი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით.**

**2. გამგებლად/მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც.**

გამგებლის/მერის კანდიდატის მოთხოვნები საკრებულოს წევრის მიმართ კიდევ ერთხელ მიუთითებს მის მაღალ ლეგიტიმაციაზე. როგორც წესი, მუნიციპალური ერთეულების ხელმძღვანელებს ირჩევენ შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოები. შედარებითი ანალიზისთვის მოვიყვანთ სხვა ქვეყნის მაგალითებს: ბულგარეთი – მუნიციპალური საბჭოს წევრებიდან ფარული კენჭისყრით აირჩევა თავმჯდომარე. ხორვატია – წარმომადგენლობითი ორგანო ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრეფექტს, ქალაქის მერს, ოლქის პრეფექტს და მათ მოადგილეებს. სერბეთი – ქალაქის მერს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს და მათ მოადგილეებს შესაბამისი მუნიციპალური საბჭო ირჩევს არჩევნების ვადით, ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით<sup>29</sup>.

საყურადღებოა საკანონმდებლო დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ 25 წლის ასაკიდან საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს 5 წელი თუ ოდესმე უცხოვრია საქართველოში შეიძლება აირჩეს მერად/გამგებლად, თუნდაც დაბადებიდან ხუთი წლის შემდეგ გასულიყო საცხოვრებლად საქართველოდან და დაბრუნდეს არჩევნების დროს.

29 საქართველოს პარლამენტი, კვლევითი დეპარტამენტი.

### **მუხლი 50. გამგეობა/მერია**

**გამგეობა/მერია** არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელებას. გამგეობა/მერიას ხელმძღვანელობს გამგებელი/მერი. გამგეობა/მერია შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი სფეროების მიხედვით უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის/მერის დავალებების შესრულებას.

კანონის სულისკვეთება გახლავთ ის, რომ გამგებელი/მერი არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი, ხოლო გამგეობა ამ ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის/მერის უფლებამოსილების განხორციელებას, რომელიც შედგება სტრუქტურული ერთეულებისგან და უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგებლის/მერის დავალებების შესრულებას.

### **მუხლი 51. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადება**

**1. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველია მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტის ან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტის წერილობითი ინიციატივა გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.**

**2. თუ გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა ამომრჩევლებს ეკუთვნით, იქმნება საინიციატივო ჯგუფი არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით. საინიციატივო ჯგუფის სიაში მითითებული უნდა იყოს მისი თითოეული წევრის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და რეგისტრაციის ადგილი. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივა საინიციატივო ჯგუფმა კონკ**

რეტულად უნდა ჩამოაყალიბოს. შესაბამისი ინიციატივის თაობაზე განცხადება წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. საინიციატივო ჯგუფის განცხადებასა და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას რეგისტრაციაში ატარებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, რომელიც ამ კანონის მე-12 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნებას.

4. საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციის მონაწილე ეძლევა რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ კანონის მოთხოვნები.

5. საინიციატივო ჯგუფს შეუძლია რეგისტრაციაში გატარებაზე უარის მიღებიდან 2 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. საინიციატივო ჯგუფი ხელმოწერების შეგროვებას იწყებს რეგისტრაციის მონაწილის მიღების დღიდან. ხელმოწერები გროვდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი ფორმის ფურცელზე. ყოველ ასეთ ფურცელს ხელს აწერს არაუმეტეს 50 მოქალაქისა, რომლებიც თავად წერენ სახელს, გვარს, დაბადების წელს, პირადობის დამადასტურებელი მონაწილის ნომერს, რეგისტრაციის ადგილს და ხელმოწერის თარიღს. ზემოაღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს ხელს აწერს ხელმოწერების შეგროვებისათვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც უთითებს თავის მისამართს. მისი ხელმოწერა უნდა დაამოწმოს სანოტარო ბიურომ ან საკრებულოს აპარატის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა. თუ საკრებულოს არ აქვს დადგენილი შესაბამისი ფურცლის ფორმა, საინიციატივო ჯგუფი ამ პუნქტის მოთხოვნების დაცვით უზრუნველყოფს ხელმოწერების შეგროვებას.



7. საინიციატივო ჯგუფი განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს ერთი თვისა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ ინიციატივის თაობაზე განცხადებას და თანდართულ ხელმოწერებს, რომლებითაც დასტურდება, რომ ინიციატივას მხარს უჭერს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 20 პროცენტისა.

8. ინიციატივის ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენის ან მის წარდგენაზე უარის თქმის შესახებ გადანყევტილებას განცხადების რეგისტრაციიდან 15 დღის ვადაში იღებს საკრებულოს თავმჯდომარე. ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ მუხლის მოთხოვნები. საკრებულოს თავმჯდომარის უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

9. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 20 დღისა. თუ ინიციატივისთვის შემდგომი მსვლელობის მიცემაზე საკრებულოს თავმჯდომარის უარი სასამართლომ არაკანონიერად ცნო, საკრებულო ინიციატივას განიხილავს სასამართლოს მიერ საბოლოო გადანყევტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

10. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ინიციატივა განიხილება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღისა. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას.

11. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში უნდობლობის საკითხის დასმა მომდევნო 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.



**12. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირება და უნდობლობის გამოცხადება დაუშვებელია გამგებლის/მერის არჩევიდან 6 თვის, აგრეთვე გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო ერთი წლის განმავლობაში.**

გამგებლის/მერის უნდობლობის გამოცხადებას საკრებულოს მხრიდან მიზეზი არ სჭირდება, გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობა გამოცხადებულად ჩაითვლება, თუ ინიციატივას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადება იწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას. პოლიტიკურ გემოვნებაში ეჭვის შეტანაც კი შესაძლებელია გამგებლის მიმართ უნდობლობის გამოცხადების საფუძველი გახდეს. კანონით განსაზღვრული ეს მოდელი არ არის იმპიჩმენტის პროცედურა, საუბარია პოლიტიკური უნდობლობაზე და გადაწყვეტილებაც თანმდევი იქნება კონსესუსის არარსებობის შემთხვევაში.

შეზღუდვა, რომელიც არსებობს გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურასთან, ეს არის გამგებლის/მერის არჩევიდან 6 თვის, აგრეთვე გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადის ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია. კანონი განსაზღვრავს გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურის ინიცირების საფუძველს და წესს.

კანონის ავტორის მოსაზრებით, პირდაპირი წესით არჩეული მერი წესით უნდა ფლობდეს უმრავლესობას საკრებულოში, მერი/გამგებელი უნდა იყოს ავტორიტეტული, მისთვის უნდობლობის გამოცხადება რისკის მატარებელია და მას საკრებულოში მაღალი ქვორუმი აბალანსებს, ეს ნორმა უბრალოდ დამატებითი გარანტიაა სხვა სახის მსგავსი გარანტია ვერ იარსებებს, ვინაიდან ეს პოლიტიკური პროცესია, ქარტიის აქცენტი ორიენტირებული სწორედ წარმომადგენლობით ორგანოზე კეთდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტრასბურგშიც ფართო დისკუსია გაიმართა ევროსაბჭოს წარმომადგენლებსა და საქართველოს წარმომადგენლებს შორის. ქართულმა მხარემ განმარტა, რომ გაცილებით ზუსტი თარგმანი იქნებოდა „უნდობლობის

გამოცხადება“, ვიდრე „იმპიჩმენტი“. ეს მუხლი მნიშვნელოვანი კომპონენტია პარლამენტში იმ პოლიტიკურ ძალებს შორის პოლიტიკური კონსენსუსის მისაღებად, რომელთაგანაც ერთი მხარე გამგებლის/მერის მიერ არჩევას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო მეორე – უშუალოდ მოქალაქეთა მიერ არჩევას. პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად, როდესაც ამას ადგილი ექნება მერსა და საკრებულოს შორის. ამ პროცედურის უკან არსებული მიზეზი საკმაოდ მკაფიოა, თუმცაღა, პროცედურა ერთგვარად პრობლემატური ჩანს. მოქალაქეთა მიერ პირდაპირ არჩეულ მერსაც და ასამბლეასაც მყარი ლეგიტიმაცია გააჩნიათ სისტემაში, რომელიც, თუ კანონის სხვა დებულებებსაც გავითვალისწინებთ, „საპრეზიდენტო სისტემის“ სახეობად წარმოგვიდგება. უნდობლობის თაობაზე კენჭისყრის ეს სახეობა ტიპურია „საპარლამენტო სისტემის“ ლოგიკისთვის. საპრეზიდენტოში იმპიჩმენტს ადგილი აქვს მხოლოდ ძირითადი სამართლებრივი დებულებების (ადამიანის უფლებები, თავისუფლებები) დარღვევის ან სისხლის სამართლებრივ დანაშაულის დროს, რაც ასამბლეას საშუალებას/საკრებულოს აძლევს, გაათავისუფლოს მერი. ჩვეულებრივ, ღრმა პოლიტიკურმა უთანხმოება შეიძლება დასრულდეს მუნიციპალური ბიუჯეტის დაუმტკიცებლობით შესაბამისი პროექტის უარყოფით ან ხმის მიუცემლობით. აღნიშნულს სჭირდება უბრალო უმრავლესობა, ხოლო შედეგად სახეზე გვექნება მერისა და საკრებულოს ახალი არჩევნები, რაც ლოგიკურ და დემოკრატიულ გამოსავალს წარმოადგენს. კოდექსის პროექტით განსაზღვრული აღნიშნული პროცედურა მაინც მისაღებად შეიძლება იყოს განხილული, იმდენად, რამდენადაც იგი ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტს ეხება და არა სახელმწიფო/ეროვნულ ინსტიტუტს, რომელთაც კონსტიტუცია არეგულირებს. 1-ლი და მე-2 პუნქტებში მოყვანილი პირები თანამდებობა საკმაოდ მაღალია (პროცედურის დასაწყებად საჭიროა საკრებულოს სრული უმრავლესობა ან ამომრჩეველთა 20% და საკრებულოს 2-3 გამგებლის/მერის გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად). ამგვარად, ფაქტობრივად, პროცედურა ვერ დაიწყება, თუ დაწყებიდანვე საკრებულოში 2/3 არ დადგინდება უმრავლესობის, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვადები, ასევე, დამაკმაყოფილებელ გარანტიას იძლევა საიმისოდ, რომ

ეს პროცედურა ბოროტად არ გამოიყენონ. მაშასადამე, შეგვიძლია, ვირწმუნოთ, რომ იგი გამოყენებულ იქნება ძალზე მწირად, ალბათ, პირად ქარიზმაზე დაყრდნობით არჩეული მერის სანინალმდევოდ, რომელსაც საკრებულოში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა არ აქვს. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ზოგი აქტივისტი მას არ გამოიყენებს პოლიტიკური ესკალაციისთვის, მაგრამ ასეთი რისკი არსებობს ყველა დემოკრატიულ სისტემაში.

**მუხლი 52. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები**

**1. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირები არიან:**

**ა) გამგებელი/მერი;**

**ბ) გამგებლის/მერის პირველი მოადგილე;**

**გ) გამგებლის/მერის მოადგილე;**

**დ) გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.**

**2. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების რაოდენობა (გამგებლის/მერის ჩათვლით) არ უნდა აღემატებოდეს 13-ს.**

**მუხლი 53. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები**

**1. გამგებლის/მერის თანამდებობრივი სარგო დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში.**

**2. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს გამგებლის/მერის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების სისტემის გათვალისწინებით, ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.**

მუნიციპალიტეტებში შტატების ოპტიმიზაციის აუცილებლობაზე ვფიქრობ ყველა თანხმდება, ბუნებრივია ქვეყანაში უმუშევრობის მდგომარეობის ფონზე მისი განხორციელება ქვეყნისთვის – მისი მოსახლეობისთვის მტკივნეულია, თუმცა მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელი. მაშინ, როდესაც ზოგ

მუნიციპალიტეტებში სტრუქტურული ერთეული უფრო მეტია, ვიდრე სამინისტროა ქვეყანაში და ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ხელფასებში მიდის, აუცილებელია ოპტიმალური სტანდარტების შემოღება. სტრუქტურული ერთეულის ფორმირების პროცესის შესაბამისად უნდა განისაზღვროს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა რაოდენობა, რომელიც საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ცამეტ ერთეულს, რომელიც კანონმდებელს რეალობიდან გამომდინარე ოპტიმალური ვარიანტად მიაჩნია.

**მუხლი 54. გამგეობის/მერიის უფლებამოსილება**

**1. გამგებელი/მერი:**

**ა) გამგეობის/მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:**

**ა.ა) საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;**

**ა.ბ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის/მერიის დებულებას და გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;**

**ა.გ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს;**

**ა.დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის/მერიის მოსამსახურეებს;**

**ა.ე) უნაწილებს უფრეციებს გამგეობის/მერიის მოსამსახურეებს, დავალებებს აძლევს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებს და ისმენს მათ ანგარიშებს განუული მუშაობის შესახებ;**

**ა.ვ) გამგეობის/მერიის დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს გამგეობის/მერიის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილებების დელეგირებას, გარდა ამ პუნქტის „ა.ა“, „ა.გ“, „ბ.ა“, „ბ.გ“, „დ.კ“, „ე.ვ“ და „ე.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა, აგრეთვე იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს;**

**ა.ზ) იღებს გადაწყვეტილებებს გამგეობის/მერიის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;**

**ა.თ) ამტკიცებს გამგეობის/მერიის შინაგანაწესს და თანამდებობრივ ინსტრუქციებს;**

ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში:

ბ.ა) საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს განუული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს;

ბ.ბ) ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ.გ) საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ წინადადებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, უფლებამოსილია დაესწროს საკრებულოს და საკრებულოს კომისიების ღია და დახურულ სხდომებს;

ბ.დ) უზრუნველყოფს საკრებულოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულებას;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:

გ.ა) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს; უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში;

გ.ბ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

გ.გ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეუტანლად იღებს გადაწყვეტილებას მხარჯავი დანესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების შესახებ;

გ.დ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებისა და გაუქმების შესახებ დადგენილებების პროექტებს;

გ.ე) მუნიციპალიტეტის სახელითა და საკრებულოს თანხმობით იღებს სესხს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონ-



მდებლო აქტებით დადგენილი წესით;

გ.ვ) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესყიდვების გეგმას;

დ) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

დ.ა) ამ კანონითა და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;

დ.ბ) საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: კერძო სამართლის სამენარმეო და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამენარმეო და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში განევრების შესახებ; მუნიციპალიტეტის ნილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილების შესახებ; სამენარმეო იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;

დ.გ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;

დ.დ) საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს;

დ.ე) საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადანიჭოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებულ/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი;

დ.ვ) საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადანიჭოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული



პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;

დ.ზ) ამ კანონის შესაბამისად, საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;

დ.თ) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და აღდგენას;

დ.ი) საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას;

დ.კ) ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე;

დ.ლ) მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე;

ე) აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში:

ე.ა) ხელს აწერს მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

ე.ბ) წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, მუნიციპალიტეტის სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს), გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე.გ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარუდგენას და განხორციელებას;

ე.დ) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს;

ე.ე) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ე.ვ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის სათათბირო ორგანოებს – საბჭოებს და სამუშაო ჯგუფებს;

ე.ზ) ანიჭებს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

ე.თ) უზრუნველყოფს ამ კანონის მე-16 და მე-17 მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით;

ე.ი) ახორციელებს ამ კანონით, გამგეობის/მერიის დებულებითა და საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. გამგებელი/მერი უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის/მერის წარმომადგენელი. გამგებლის/მერის წარმომადგენლის უფლებამოსილება განისაზღვრება გამგეობის/მერიის დებულებით.

3. გამგებლის/მერის მიერ პერსონალურ საკითხზე გადანიშნულების მიღებისას საკრებულოს წევრის მიერ მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია.

აღნიშნული მუხლი გვაძლევს გამგებლის/მერის უფლებამოსილების არასრულ ჩამონათვალს; ეს უფლებამოსილებანი ხუთ კატეგორიად იყოფა: ა) გამგეობის/მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში: ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში: გ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში: დ) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში: ე) აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში: ევროპის პრაქტიკა გვიჩვენებს მაგალითებს, სადაც აღმასრულებელი ორგანოების მიერ ხდება სამართლებრივი აქტების ინიცირება და ადგილობრივ დონეზე აღმასრულებელ ორგანოებს აქვთ გადანიშნულების მიღების უფლებამოსილება; კერძოდ, ეს ხდება

მაშინ, როდესაც აღმასრულებელიც და საკანონმდებლო ორგანოებიც უშუალოდ მოქალაქეთა მიერაა არჩეული. აქედან გამომდინარე, როდესაც ძირითადი აქცენტი კეთდება ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებაზე. ზოგიერთი უფლებამოსილება (მუხლი 54.1. „დ.დ – დ.ზ“) წარმოადგენს გამონაკლისს მუნიციპალური საკუთრების მართვის სამართლებრივ რეჟიმში, რამაც პრაქტიკულად, შეიძლება გამგებლის/მერის მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებამდე მიგვიყვანოს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი გადაწყვეტილებები მიიღონ მხოლოდ საკრებულოს თანხმობით. (რომელიც, ასევე, არ არის სამართლებრივად მოქცეული ჩარჩოებში ამ კუთხით). 54.2 მუხლი უფლებას აძლევს გამგებელს/მერს, მუნიციპალიტეტის დასახლებაში დანიშნოს გამგებლის/მერის წარმომადგენელი, რომელიც არ არის თვითმმართველი ერთეული და პირდაპირ მუნიციპალიტეტის იურისდიქციას ექვემდებარება, ალბათ, გაცილებით ეფექტური იქნებოდა ყოფილიყო დებულება, რომელიც დაადგენდა, რომ გამგებელი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პერიოდულ გასვლას/ყოფნას თითოეულ დასახლებაში, რათა ამით შესაძლებლობა მიეცეს მოსახლეობას განახორციელონ და შეასრულონ ადმინისტრაციული პროცედურები „ცენტრალურ“ მერიაში მისვლის გარეშე.

ტერიტორიულ წარმომადგენელს – რწმუნებულს არ ჰქონდა მონესრიგებული სრულად ის ფუნქციები, რომლებსაც ის ასრულებდა, იგი არ წარმოადგენდა არც დელეგირებულ და არც საკუთარ ფუნქციებს, ხშირად მას პრაქტიკული მოქმედებებით შეექმნა ეს ფუნქციები, საჯარო სამსახური უნდა გაიმიჯნოს პოლიტიკური ფუნქციების შესრულებისგან. გამგეობის/მერიის დებულებით სრულყოფილად უნდა გაიწეროს წარმომადგენლის ფუნქციები, რათა მისი უფლებები მოქმედების ფარგლებში უზრუნველყონ.

საპრეზიდენტო პოლიტიკური რეჟიმის მსგავსად, გამგებელს/მერს შეუძლია დანიშნოს პირველი მოადგილეები/ვიცე მერები და სხვა მოადგილეები, რომლებიც მთლიანად მის წინაშე იქნებიან ანგარიშვალდებულნი. პირველ მოადგილეებს/ვიცე მერებს შეუძლიათ ჩაანაცვლონ მერები მხოლოდ მათი დროებითი არყოფნის შემთხვევაში, გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და

შენწყვეტის შემთხვევებში მის მოვალეობას ასრულებს გამგებლის/მერის პირველი მოადგილე და არა საკრებულოს თავმჯდომარე, როგორც ეს კანონპროექტში იყო წარმოდგენილი, ვინაიდან საკრებულო ახორციელებს „სხვა უფლებამოსილებებს“ და გამგებელი/მერები ახორციელებენ უფლებამოსილებებს „აღმასრულებელი საქმიანობების სხვა სფეროებში“, ნათელია, რომ სხვა შემთხვევაში საკრებულოს უფლებამოსილებებსა (საკანონმდებლო) და გამგებლის/მერების (აღმასრულებელი) უფლებამოსილებებს შორის გადაფარვა მოხდებოდა იმ სფეროში, რაც, კოდექსის განმარტების მიხედვით, არის „საფინანსო-საბიუჯეტო სფერო“ (მაგ.: ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება), ასევე „მუნიციპალიტეტის ქონების მართვა და განკარგვა“; ჩანს, რომ იგივე უფლებამოსილებები დაჯგუფებულია სხვადასხვა იარლიყის ქვეშ (მაგ.: მუნიციპალური შესყიდვების გეგმა მუნიციპალური ქონების მართვის სფეროში საკრებულოსთან და ფინანსებისა და ბიუჯეტირების სფეროში, გამგებელთან), ევროსაბჭოს რეკომენდაციები ამ მხრივ გაიზიარონ.

**მუხლი 55. გამგებლის/მერის თანამდებობრივი შეუთავსებლობა გამგებლის/მერის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

**მუხლი 56. გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები**

**1. გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერების საფუძველია:**

ა) სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება;

ბ) სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;

გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

დ) შვებულება;

ე) დროებითი შრომისუუნარობა;

ვ) საპრეზიდენტო ან წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში კანდიდატად წარდგენა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

ზ) უფლებამოსილების შეჩერების სხვა შემთხვევები (კანონის შესაბამისად ან მის საფუძველზე).

2. გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

ბ) უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნა;

გ) საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადის გასვლა;

დ) გარდაცვალება;

ე) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

ვ) საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა;

ზ) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირისთვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება;

თ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უნდობლობის გამოცხადება;

ი) ამ კანონის XVIII თავით გათვალისწინებული შემთხვევები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება შესაბამისად პატიმრობის ან ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადით, შვებულების ვადითა და დროებითი შრომისუუნარობის ვადით, ხოლო „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საარჩევნო კომისიის მიერ კანდიდატად რეგისტრაციიდან შესაბამისი არჩევნების შედეგების შეჯამებამდე ვადით.



4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ფაქტების შესახებ ინფორმაციას, გარდა მე-2 პუნქტის „ზ“, „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მუნიციპალიტეტის საკრებულო ცნობად იღებს და აფორმებს საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით. გამგებელს/მერს უფლება მოსილება უჩერდება/უნყდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. გამგებელი/მერი პირადი განცხადებით უფლებამოსილებას იხსნის საკრებულოს წინაშე. ასეთ შემთხვევაში გამგებელს/მერს უფლებამოსილება უწყდება შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან. თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხზე საკრებულო გადაწყვეტილებას იღებს ამ კანონის 43-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

5. გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევებში მის მოვალეობას ასრულებს გამგებლის/მერის პირველი მოადგილე.

6. მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გაუქმების ან სასამართლოს მიერ გამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში:

ა) გამგებელს/მერს აღუდგება გამგებლის/მერის უფლებამოსილება, თუ გასული არ არის მისი უფლებამოსილების ვადა, და მიეცემა განაცდური ხელფასი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) გამგებელს/მერს, თუ გასულია მისი უფლებამოსილების ვადა, დაკავების ან დაპატიმრების ვადა ჩათვლება გამგებლად/მერად მუშაობის საერთო ვადაში და მიეცემა შესაბამისი განაცდური ხელფასი.

7. გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის ვადაში შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 2 დღის ვადაში. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართ-



ლო საქმეს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 2 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები ინიშნება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით, გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუადრეს 9 და არაუგვიანეს 11 დღისა. გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები იმართება გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 50 დღისა.

9. გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ახლარჩეული გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

10. თუ გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე დარჩენილია 1 წელზე ნაკლები, გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები არ იმართება.

კანონი ამომწურავად განსაზღვრავს გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლებს. კომენტარებში ყურადღებას გავამახვილებთ გამგებლის/მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შემდგომ პროცედურაზე, გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში მისი მიღებიდან (და არა ჩაბარებიდან) 2 დღის ვადაში, საჩივრის ბედი ასევე 2 დღის ვადაში გადაწყდება, მიღებული გადაწყვეტილება ერთჯერადად საჩივრდება სააპელაციო წესით ორი დღის ვადაში, სააპელაციო სასამართლო ასევე 2 დღის ვადაში იხილავს და ასრულებს საქმის განხილვას. მსგავსი დაჩქარებული პროცედურა გამოწვეულია ერთი მხრივ, საკრებულოს გადაწყვეტილების ფორმალობის მხრივ (არაა საჭირო საფუძველი უნდობლობის გამოცხადებისთვის, მხოლოდ პროცესუალური მხარე უნდა იქნეს დაცული) და მეორე მხრივ, დროული და ეფექტური არჩევნების ჩატარებისა. გამგებლის/მერის უფლება-

მოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები ინიშნება უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუადრეს 9 და არაუგვიანეს 11 დღისა. ეს სწორედ ის ვადაა, როდესაც სავარაუდოდ ცნობილი უნდა იყოს საბოლოო განწყვეტილების შესახებ. გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები იმართება გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 50 დღისა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე თუ დარჩენილია ერთ წელზე ნაკლები, გამგებლის/მერის რიგგარეშე არჩევნები არ იმართება.

**მუხლი 57. გამგებლის/მერის პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები)**

**1. გამგებელს/მერს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები), რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი.**

**2. თვითმმართველ ქალაქში მერიის დებულებით მერის პირველი მოადგილის თანამდებობის ნაცვლად შეიძლება განისაზღვროს ვიცე-მერის თანამდებობა. ვიცე-მერის თანამდებობრივი სტატუსი უთანაბრდება მერის პირველი მოადგილის თანამდებობრივ სტატუსს.**

**3. გამგებლის/მერის მოადგილე ფუნქციათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობს გამგეობის/მერიის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ დარგს (დარგებს), ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და გამგებლის/მერის დავალებების შესრულებას, გამგეობის/მერიის დებულების შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.**

**4. გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის (მოადგილეების) უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის/მერიის დებულებით.**

მოადგილეებს შორის ფუნქციების განაწილება ან ხელმძღვანელი პირის დროებით არყოფნის შემთხვევაში (გამგებლის/მერის უფლებამოსილების შეწყვეტისას უფლებამონაცვლე გან-

საზღვრულია კანონით) მოადგილეების უფლებამოსილებები განისაზღვრება დებულებით,

საერთაშორისო გამოცდილება და სხვა ქვეყნების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ (გერმანია, საფრანგეთი, პორტუგალია, ბელგია, შვედეთი, ხორვატია, სერბეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, სომხეთი, უკრაინა), ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში მის მოვალეობას, როგორც წესი, ასრულებენ მოადგილე ან ერთ-ერთი დეპუტატი, რომელიც აირჩევა დროებით მოვალეობის შემსრულებლად<sup>30</sup>.

**მუხლი 58. გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობა**

**გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.**

**მუხლი 59. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირების უფლებამოსილებების შეჩერება და შეწყვეტა**

**1. გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს უფლებამოსილებები უჩერდებათ და უწყდებათ ამ კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტითა და მე-2 პუნქტის „ა“, „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე ახალი გამგებლის/მერის არჩევისას.**

**2. გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყდებათ აგრეთვე გამგებლის/მერის მიერ თანამდებობებიდან მათი გათავისუფლების შემთხვევაში.**

**მუხლი 60. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი**

**1. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მონელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი.**

30 საქართველოს პარლამენტი, კვლევითი დეპარტამენტი.

2. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი:

ა) წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ ერთეულისთვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისათვის;

ბ) უნაწილებს ფუნქციებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს;

გ) გამგებელს/მერს წარუდგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით; სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შევებულების, სამსახურებრივი მივლინების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესებს, ფორმებსა და მეთოდებს; სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

ე) გამგებელს/მერს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) გამგებელს/მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის მიერ განეული სამუშაოს შესახებ;

ზ) გამგეობის/მერიის დებულების შესაბამისად, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

თ) ანგარიშვალდებულია გამგებლის/მერის წინაშე.

3. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი/მერი.

4. გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი შეუთავსებლობის, აგრეთვე უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება ამ კანონის 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად.

## მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები

მეოთხე თავი აწესრიგებს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისა და მათი გასაჩივრების წესს.

**მუხლი 61. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები**

1. მუნიციპალიტეტის საკრებულო და თანამდებობის პირები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემენ შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

3. მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებია:

- ა) გამგებლის/მერის ბრძანება;
- ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება;
- დ) გამგებლის/მერის პირველი მოადგილის ბრძანება, გამგებლის/მერის მოადგილის ბრძანება;
- ე) გამგებლის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ბრძანება;
- ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგებლის ბრძანება.

4. მუნიციპალიტეტის საკრებულო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს იღებს საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

*აქტის კანონიერების ან სხვა საკითხთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მუნიციპალიტეტს სასამართლოში წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.*

**ნ. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტის ორგანოების დებულებებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.**

კანონი აძლევს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შესაძლებლობას. მათ შორის: გამგებლის/მერის პირველი მოადგილეს, გამგებლის/მერის მოადგილეს და გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ბრძანების გამოცემის უფლებას. (მუხლი.61.3. „დ“.“ე“) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიერ არჩეული გამგებელი/მერი სარგებლობს ამომრჩეველთა დიდი ლეგიტიმურობით, რაც ბუნებრივია იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილების საკანონმდებლო დონეზე დელეგირება მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებზე ვფიქრობ გამგებლის პასუხისმგებლობის გადანაწილების საშუალებად შეიძლება იქცეს, რაც საშუალებას მისცემს მას თავი აარიდოს რიგ საკითხებში პასუხისმგებლობას. მოგეხსენებათ, სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირის სუბიექტურ განზრახვას ქმედების კვალიფიკაციის შერაცხვისთვის. ასევე ბუნდოვანია მესამე პირების მიერ, თანამდებობის პირების გაცემული აქტის მიმართ დავის შემთხვევაში (თუნდაც ზიანის ანაზღაურების კუთხით) ვინ უნდა იყოს მხარე.

კანონპროექტი ითვალისწინებდა გამგებლის მიერ საკრებულოში ინიცირებულ კანონპროექტის განხილვისა და მასზე თანხმობის მიღების პროცედურებს. გადანყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის საკრებულოსა და გამგებლის/მერის თანხმობას საჭიროებს,



საკმაოდ მძიმე და რისკის შემცველია ევროსაბჭოს მოსაზრებით. იგი მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის და პროცედურაში ორივე მხარეს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება; პროცედურა მოკლე ინტერვალებში უნდა დასრულდეს. პრაქტიკულად, ამან შეიძლება მიგვიყვანოს განსხვავებულ შედეგამდე, რაც ერთი ან მეორე პარტიისთვის იქნება მისაღები და აღნიშნული მოხდეს, ისე, რომ ძლიერი და არგუმენტირებული უთანხმოების შემთხვევაშიც კი არ არსებობდეს აუცილებელი საფუძველი კომპრომისის მისაღწევად. ჯეროვანი იმპლემენტაციისთვის გაცილებით გონივრული იქნებოდა გამოგვეძებნა გამარტივებული საკანონმდებლო პროცედურა, სადაც აღმასრულებელს ექნებოდა საკანონმდებლო ინიციატივის მონოპოლია, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა - ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო და წარმომადგენლობით ორგანოს. საბოლოოდ გაითვალისწინეს რეკომენდაციები კანონის ავტორის მიერ და მივიღეთ მეტად მოქნილი მექანიზმი.

## **მუხლი 62. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება**

1. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება სასამართლოში ამ კანონითა და საქართველოს სხვა კანონებით დადგენილი წესით.

2. გამგეობის/მერიის თანამდებობის პირის, გარდა მუნიციპალიტეტის გამგებლისა/მერისა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრდება გამგებელთან/მერთან და შემდგომ - სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

3. თუ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან გამგეობის/მერიის თანამდებობის პირის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან/და საქართველოს კანონმდებლობას, საკრებულო სითითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მისი სასამართლოში გასაჩივრების შესახებ. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს სასამართლოში წარმოადგენს საკრებულოს ან

**საკრებულოს დავალებით საკრებულოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი, ხოლო აღმასრულებელ ორგანოს/გამგეობას/მერიას – გამგებლის/მერის მიერ განსაზღვრული პირი.**

საკანონმდებლო ჩინაწერი სადაც მუნიციპალიტეტის/ქალაქების თანამდებობის პირების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები საჩივრდება, კანონი ჯერ გამგებელთან (მერთან) და შემდეგ – სასამართლოში ითვალისწინებს. ევროსაბჭოს მოსაზრებით პრობლემატურია, შესაძლებელის წამოიჭრას პოტენციური (არარსებული) სუბორდინაციის საკითხი მათსა და გამგებელს/მერს შორის, რომლებიც ზემდგომის რანგში მოქმედებენ. სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებული ამ ორი მუხლის ესოდენ უცნაურმა განთავსებამ, რომლებიც მოიცავს აღმასრულებელი ორგანოებისადმი განკუთვნილ თავში წარმოდგენილ ყველა ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესს, შესაძლოა, კონცეპტუალური მოუწესრიგებლობა და პოლიტიკური პრობლემებიც წარმოშვას. აღნიშნული რისკების განმუხტვას შეეცადა მესამე პუნქტი.

## საქართველოს დედაქალაქი – თბილისი

კანონის ავტორის აზრით, პრობლემატური იყო დედაქალაქის ინსტიტუციური მოწყობის ამჟამინდელი, უკიდურესად ცენტრალიზებული მოდელი. თბილისის ცალკეული უბნების მოსახლეობა მოკლებული იყო საკუთარი დასახლების ინტერესების წარმოდგენისა და დაცვის შესაძლებლობას, ერთ-ერთი მიზეზი კანონის მიღებისა ეს ფაქტიც გახდა. კოდექსის **მესამე კარი** ეთმობა საქართველოს დედაქალაქში – თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საკითხებს. კოდექსის პროექტის თანახმად, თბილისის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება როგორც მუნიციპალიტეტის, ისე დამატებით სხვა უფლებამოსილებები, მაგალითად მყარი ნარჩენების მართვა. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოსა და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით. თბილისში სხვა მუნიციპალიტეტებისგან განსხვავებით მოქმედებს კოლექტიური აღმასრულებელი ორგანო თბილისის მთავრობა. თბილისი იყოფა რაიონებად და უბნებად. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ქმედითი მონაწილეობის მიღების მიზნით, იქმნება თბილისის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლობითი ორგანოები – უბნის საბჭოები. აღნიშნული ინსტიტუტი არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეს (ის დედაქალაქის სტრუქტურაში ინტეგრირებული ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა) და, შესაბამისად, არ გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. უბნის საბჭოები ახორციელებენ მათზე გადაცემულ თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებებს. ქალაქების მართვის მსგავს სისტემას ვხდებით ჰოლანდიაში (ამსტერდამი, როტერდამი) ავსტრიაში (ვენა), ესტონეთში (ტალინი). თბილისის უბნის საბჭოს ძირითად ფუნქციებად განისაზღვრება: ადმინისტრაციული ერთეულისათვის თბილისის ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში საპროექტო განაცხადების მომზადება, დამტკიცება და თბილისის მერისთვის წარდგენა; ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მოედნის, პროსპექტის (გამზირის);

გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის; სკვერის, ბალის, პარკის სახელდების შესახებ წინადადების მომზადება და თბილისის საკრებულოსთვის წარდგენა; უბნის მოსახლეობის ინტერესების წარმოდგენა და დაცვა თბილისის თვითმმართველობის ორგანოებში. უბნის საბჭო ასევე ახორციელებს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით გადაცემულ უფლებამოსილებებს. თბილისის რაიონის ტერიტორია უნდა ემთხვეოდეს ერთი ან რამდენიმე უბნის ტერიტორიას. რაიონებში ფუნქციონირებენ თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანოები – თბილისის რაიონის გამგეობები.

## **საქართველოს დედაქალაქის სტატუსი**

საქართველოს კონსტიტუციის 10-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს დედაქალაქია თბილისი, თვითმმართველი ქალაქი, რომელიც დედაქალაქების სტატუსის შესახებ 219 (2007) რეკომენდაციით გათვალისწინებული სპეციალური სტატუსით სარგებლობს. კანონის **მეშვიდე თავის** ფარგლებში თბილისი წარმოადგენს ცალკე თვითმმართველ ქალაქს, რომელსაც აქვს საკუთარი საკრებულო (წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო) და მერია (აღმასრულებელი ორგანო, სადაც შედის თბილისის მერი, თბილისის მთავრობა და რაიონების გამგეობები)<sup>31</sup>.

### **მუხლი 63. საქართველოს დედაქალაქი და მისი სტატუსი**

**1. საქართველოს დედაქალაქი – თბილისი არის თვითმმართველი ქალაქი.**

**2. ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომ – თბილისი), როგორც საქართველოს დედაქალაქის, სტატუსი გულისხმობს თბილისის განსაკუთრებულ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების დასაცავად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით თბილისის მართვას.**

31 განმარტებითი ბარათი საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“

*3. თუ ამ კარით სხვა რამ არ არის დადგენილი, თბილისის, როგორც მუნიციპალიტეტის, სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები, მუნიციპალიტეტისა და მისი ორგანოების/თანამდებობის პირების უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ორგანოების სტრუქტურა და ორგანიზაციული მოწყობის წესი განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისი თავებით მუნიციპალიტეტისთვის დადგენილი დებულებებით.*

თბილისის განსაკუთრებული სტატუსის გათვალისწინებით, ამ კანონპროექტის სათანადო დებულებების შეფასებისას გამოიყენეს ქარტია, რეგიონული დემოკრატიის საკოორდინაციო სისტემა და დედაქალაქების შესახებ 219 (2007) რეკომენდაცია. ამ პროექტის დებულებათა უმეტესობა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. აქცენტი კეთდება მხოლოდ იმ დებულებებზე, რომლებიც ეფექტური იმპლემენტაციის კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. ამ სექციის ანალიზი ეყრდნობა ქარტიის შესაბამის მუხლებს, ასევე, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის დედაქალაქების სტატუსის შესახებ 219 (2007) რეკომენდაციას, კერძოდ, მოთხოვნებს, რომელთა მიხედვითაც დედაქალაქები აღიარებულია განსაკუთრებული სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტად და მათ უპირატესი როლი აკისრიათ, ასევე, მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც მათ უნდა ჰქონდეთ თვითმმართველობის უფლება და დემოკრატიულად შექმნილი ხელისუფლების მეშვეობით საჯარო პასუხისმგებლობის გამოყენების უფლება; განსაკუთრებულ აქცენტები კეთდება ახალი დედაქალაქის მთავრობის ავტონომიის სამართლებრივ და მატერიალურ გარანტიებზე, პასუხისმგებლობათა გამჭვირვალედ და მკაფიოდ დანაწილებაზე ადგილობრივი მთავრობის მუნიციპალურ და საუბნო დონეებს შორის და ცენტრალურ და მუნიციპალურ მთავრობებს შორის ჯეროვან თანამშრომლობაზე, ასევე, მოთხოვნებზე, რომელთა მიხედვითაც დედაქალაქის უბნებს თუ სხვა ქვედანაყოფებს საკმარისი ფინანსური წყაროები უნდა ჰქონდეთ თავიანთი საკუთარი თუ დელეგირებული ფუნქციების მართვის მიზნით.

**მუხლი 64. თბილისის საკუთარი უფლებამოსილებები თბილისის საკუთარი უფლებამოსილებებია:**

ა) ამ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებები;

ბ) გადაუდებელი სასწრაფო დახმარებით უზრუნველყოფა;

გ) საქართველოს დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის, მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბალის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება;

დ) მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების მართვა;

ე) ჩამდინარე წყლების გასუფთავება და უტილიზაცია.

**მუხლი 65. თბილისის ორგანოები**

თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს – თბილისის საკრებულოს და თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის – თბილისის მერიის მეშვეობით.

ბევრი დიდი ქალაქის ან დედაქალაქის (ერევანი, პარიზი, კასაბლანკა) კანონმდებლობაში შედის უბნის მუნიციპალიტეტები. ევროსაბჭოს არაფერი სანინალმდეგო ამ სტრუქტურის მიმართ, რომელიც უფრო ადგილობრივი თვითმმართველობის ავტონომიურობას ემსახურება, არ ექნებოდა, მაგრამ ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ იმასაც, რომ ამ სტრუქტურას თავისი სირთულეები აქვს უფლებამოსილების განაწილების, ადამიანური და ფინანსური რესურსების და სხვა საკითხების მიმართ. უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ სუბსიდიარულობის პრინციპი ამ ტიპის ქალაქში კარგად რეალიზდება ან „დეცენტრალიზაციით“ და ადგ-



ილობრივი თვითმმართველობის ორი ფენის(დონის) შექმნით, ან კიდევ „დეკონცენტრაციით“ და ქალაქის გაერთიანებული ადმინისტრაციის სტრუქტურებისა და მომსახურების ოპტიმალური განაწილებით. ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ამ თემას, რომელიც უმნიშვნელოვანესია მოქალაქეების მიერ ადგილობრივი სისტემის მუშაობის პროცესის აღქმაში. ამიტომ კანონში უნდა შევიდეს დებულებები, სადაც მკაფიოდ იქნება გაცხადებული, რომ თბილისის ადმინისტრაცია უნდა შეიქმნას სუბსიდიარულობის ლოგიკაზე დაყრდნობით, სადაც „ცენტრალური“ სამსახურები განსაზღვრავენ დაგეგმარების, კოორდინაციის და გლობალური მნიშვნელობის საკითხებს. ყოველდღიურ ადმინისტრაციულ საქმეებს კი ისევე, როგორც სხვა მსგავსი მომსახურების (ქუჩების დასუფთავება, სკოლები, საბავშვო ბაღები, წყალი, ნარჩენები და სხვა) მენეჯმენტს ადგილობრივი სამსახურები უხელმძღვანელებენ სხვადასხვა უბნებსა და რაიონებში. თუმცა, ეს თემა ამჟამად არ არის აქტუალური, ვინაიდან უბნის საბჭოების თემის განხილვა ამ ეტაპზე არ ხდება.

### **მუხლი 66. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულები**

**1. თბილისის ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ ერთეულებად. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულია რაიონი. თბილისის ადმინისტრაციული ერთეული არ არის თვითმმართველი ერთეული.**

**2. თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის შექმნისა და გაუქმების, მისი საზღვრების დადგენისა და შეცვლის შესახებ დადგენილებებს თბილისის მერის ან საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის წარდგინებით, საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს თბილისის საკრებულო.**

თბილისში ადმინისტრაციული დანაყოფების შექმნის ძირითადი კრიტერიუმები შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. წინსწარ შემოწმებული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის შესაბამისი წესები თბილისზეც ვრცელდება; ამასთან, თბილისს გარკვეული თავისებურებებიც აქვს (1) საკუთარი უფლებამოსილების (რაც სხვა თვითმმართველ ქალაქების უფლებამოსილებაზე ფართოა), (2) ადმინისტრაციული ორგანი-

ზაციის (იგი წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველობასა და რეგიონს შორის შუალედურს) და (3) აღმასრულებელი ორგანოს (გაცილებით რთული და კომპლექსურია) კუთხით.

## **თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო**

**მერვე თავში** განსაზღვრულია თბილისის საკრებულოს უფლებამოსილება, რიგგარეშე საკრებულოს სხდომის მოწვევის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების და კომისიის ფუნქციები.

ევროსაბჭოს მოსაზრებით მართებული იქნება, თუ ყურადღებას გავამახვილებთ დედაქალაქების სტატუსებთან დაკავშირებული რეკომენდაციების იმ კონკრეტულ მოთხოვნებზე, რომლებიც ეხება დედაქალაქის მართვის ისეთ ფორმას, რომელსაც არც ცენტრალური ხელისუფლების და არც ადგილობრივი საუბნო ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული ჩინოვნიკები არ ახორციელებენ. ასევე კარგი იქნება თუ გავითვალისწინებთ რეკომენდაციას დედაქალაქში დემოკრატიულად არჩეული მუნიციპალიტეტის ფუნქციონირების შესახებ.

### **მუხლი 67. თბილისის საკრებულო**

**თბილისის საკრებულო არის თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის წევრთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.**

### **მუხლი 68. თბილისის საკრებულოს უფლებამოსილება**

**1. თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება:**

**ა) თბილისის მთავრობის თანამდებობის პირთა საქმიანობის კონტროლი;**

**ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თბილისის მთავრობისთვის სესხის აღებაზე თანხმობის მიცემა;**

გ) საქართველოს დედაქალაქის დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ბუნებრივი თუ ანთროპოგენური გეოინფორმაციული ერთეულის, თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის, ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, გეგმარებითი რაიონის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, სხვა ტერიტორიული ერთეულის, მთის, ბორცვის, ხევის, მდინარის, ტბის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივანის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ტყის, საქალაქო სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება;

დ) თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, აგრეთვე მისი დებულების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება;

ე) თბილისის მთავრობის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს;

ვ) თბილისის მთავრობის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;

ზ) თბილისის მთავრობის წარდგინებით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცება;

თ) თბილისის მთავრობის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება;

ი) ამ კანონით დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა;

კ) ამ კანონის მე-16, მე-17 და 64-ე მუხლებით გათვალის-

ნინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება;

ლ) ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. თუ ეს კანონი ან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის პასუხისმგებელ მუნიციპალიტეტის ორგანოს, აღნიშნულ უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საკრებულო ან თბილისის საკრებულოს დავალებით – თბილისის მერი/თბილისის მთავრობა.

3. თბილისის საკრებულოს ის უფლებამოსილება, რომელიც ამ კანონით ან საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულია, როგორც თბილისის საკრებულოს უფლებამოსილება, არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირს, თუ კანონი უშუალოდ არ ითვალისწინებს მისი გადაცემის შესაძლებლობას.

**მუხლი 69. თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა**

1. თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის წესი განისაზღვრება ამ კანონის 26-ე მუხლით (გარდა მისი მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა), ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით.

2. თბილისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა თბილისში რეგისტრირებული არანაკლებ 10 000 ამომრჩევლის მოთხოვნით.

**მუხლი 70. თბილისის საკრებულოს კომისიები**

თბილისის საკრებულოში ამ კანონით დადგენილი წესით იქმნება არაუმეტეს 11 კომისიისა.

**მუხლი 71. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები**

1. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს შეიძლება ჰყავდეს პირველი მოადგილე და მოადგილეები.

2. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს პირველი მოადგილე ან თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით – ერთ-ერთი მოადგილე.

## თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა

ზოგადად მესამე კარის (შესაბამისად მეცხრე-მეთათე თავების) ინტეგრირება ამ კანონში ძველისა და შენარჩუნდა ბევრი დეტალური თვითმართველობის დახვეწასთან ერთად უნდა დაიხვეწოს ტერიტორიული ორგანოები, ზოგადი კომენტარების ნაწილი ეხება გარკვეულწილად დედაქალაქის მიმართ იდენტიურ ნორმებს იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რომ თბილისზე ცალკე მიდგომა განსხვავდება დარჩენილი საქართველოდან, თბილისში გვყავს მთავრობა და არსებობს ინსტრუმენტი მთავრობის მერთან შეთანხმება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციონალურად თბილისი პირდაპირი არჩევითი მერია და ცალკე მთავრობის მიმართ ვერ იქნება უნდობლობა.

### მუხლი 72. თბილისის მერია

1. თბილისის მერია (თბილისის მერი, თბილისის მთავრობა, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები და თბილისის რაიონების გამგეობები) არის თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას.

2. თბილისის მერიის თანამდებობის პირები არიან: თბილისის მერი, თბილისის მერიის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილე, თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და თბილისის რაიონის გამგებელი. თბილისის მერიაზე არ ვრცელდება ამ კანონის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მერიის თანამდებობის პირების რაოდენობრივი შეზღუდვა.

3. თბილისის მერიის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება თბილისის მერიის დებულებით. თუ ეს კანონი ან საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულ უფლებამოსილების აღსრულებისთვის პასუხისმგებელ თბილისის აღმასრულებელ ორგანოს, უფლებამოსილებათა გამიჯვნა ხდება თბილისის მერიის დებულების შესაბამისად.

### მუხლი 73. თბილისის მერი

1. თბილისის უმაღლესი აღასრულებელი ორგანო – თბილისის მერი – არის თბილისის მთავრობის ხელმძღვანელი. თბილისის მერი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, 4 წლის ვადით. თბილისის მერის არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

#### 2. თბილისის მერი:

ა) საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევს თბილისის მერიის საქმიანობას;

ბ) უძღვება თბილისის მთავრობის საქმიანობას, უნაწილებს ფუნქციებს თავის მოადგილეებს;

გ) თავმჯდომარეობს თბილისის მთავრობის სხდომებს;

დ) შეიმუშავებს და თბილისის საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ე) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის ბიუჯეტის, ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

ვ) ხელს აწერს თბილისის მთავრობის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ზ) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების თბილისის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენას;

თ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს;

ი) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;



კ) ხელს აწერს მუნიციპალიტეტისა და თბილისის მთავრობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

ლ) წარმოადგენს თბილისის და თბილისის მთავრობას, მოქმედებს მათი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს, მუნიციპალიტეტის სახელით ანიჭებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, მათ შორის, რწმუნებებს (მინდობილობებს), გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

მ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის მერიის დებულებას და მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს, თბილისის რაიონის გამგეობისა და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპურ დებულებებს;

ნ) თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მერიის თანამდებობის პირებს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მერიის სხვა მოსამსახურეებს, გარდა ამ კანონის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ო) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს თბილისის მერიის თანამდებობის პირთა (გარდა თბილისის მერისა) და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს;

პ) უნაწილებს ფუნქციებს თბილისის მერიის მოსამსახურეებს; დავალებებს აძლევს თბილისის მერიის თანამდებობის პირებს და ისმენს მათ ანგარიშებს განეული მუშაობის შესახებ;

ჟ) თბილისის მერიის დებულებით დადგენილი წესით ახორციელებს თბილისის მერიის თანამდებობის პირებისთვის უფლებამოსილებების დელეგირებას, გარდა ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „ტ“, „ქ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებებისა, აგრეთვე იმ უფლებამოსილებებისა, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად თბილისის საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს;

რ) იღებს გადაწყვეტილებებს თბილისის მერიის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ს) ამტკიცებს თბილისის მერიის შინაგანაწესს და თანამდევობობრივ ინსტრუქციებს;

ტ) თბილისის საკრებულოს წელიწადში ერთხელ მაინც, თბილისის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით წარუდგენს ანგარიშს თბილისის მთავრობისა და მის მიერ განუყოფი მუშაობის შესახებ, აგრეთვე თბილისის საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს;

უ) თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართავს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ წინადადებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე შეაქვს დამატებით განსახილველი საკითხი, უფლებამოსილია დაესწროს საკრებულოს და საკრებულოს კომისიების ღია და დახურულ სხდომებს;

ფ) ანიჭებს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებსა და ჯილდოებს;

ქ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების შესასწავლად ქმნის სათათბირო ორგანოებს – საბჭოებს და სამუშაო ჯგუფებს;

ღ) ახორციელებს ამ კანონითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. თბილისის მერი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

4. თბილისის მერისთვის უნდობლობის გამოცხადების, მისი თანამდებობრივი შეუთავსებლობის და უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები განისაზღვრება ამ კანონის 51-ე, 55-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად.

#### მუხლი 74. თბილისის მთავრობა

1. თბილისის მთავრობა (შემდგომ – მთავრობა) არის კოლექციური აღმასრულებელი ორგანო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

2. მთავრობა შედგება თბილისის მერის, მისი პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების, თბილისის მერო-

ის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან (გარდა თბილისის მერიის სისტემაში შემავალი, კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა) და თბილისის რაიონების გამგებლებისგან.

3. მთავრობის სხდომებს თავმჯდომარეობს თბილისის მერი ან თბილისის მერის დავალებით – თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ან ერთ-ერთი მოადგილე.

4. მთავრობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება მთავრობის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით.

5. მთავრობის სტრუქტურა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ კანონით, თბილისის მერიის დებულებითა და მთავრობის რეგლამენტით.

### მუხლი 75. მთავრობის უფლებამოსილებები

მთავრობა:

ა) ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში:

ა.ა) კოორდინაციას უწევს თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და თბილისის რაიონების გამგეობების საქმიანობას;

ა.ბ) დავალებებს აძლევს მთავრობის წევრებს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნიებული საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ა.გ) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის რეგლამენტის და მასში შესატანი ცვლილების პროექტებს;

ა.დ) მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნიებული ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად ქმნის კომისიებს, საბჭოებსა და სხვა საკონსულტაციო ორგანოებს;

ბ) თბილისის საკრებულოსთან ურთიერთობის სფეროში:

ბ.ა) ამ კანონის შესაბამისად შეიმუშავებს და თბილისის საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ.ბ) უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულებას;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში:

გ.ა) შეიმუშავებს და განიხილავს თბილისის ბიუჯეტის პროექტს; უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში; საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, ადგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;

გ.ბ) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით თბილისის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეუტანლად იღებს გადაწყვეტილებას მხარჯავი დაწესებულების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდექს შორის თანხების გადანაწილების შესახებ;

გ.გ) მუნიციპალიტეტის სახელითა და თბილისის საკრებულოს თანხმობით იღებს სესხს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით;

გ.დ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კანონით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღების, ცვლილებისა და გაუქმების შესახებ დადგენილებების პროექტებს;

გ.ე) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესყიდვების გეგმას;

დ) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

დ.ა) ამ კანონითა და თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;

დ.ბ) თბილისის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს: კერძო სამართლის სამენარმეო და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; კერძო სამართლის სამენარმეო და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში განევრების შესახებ; მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილების შესახებ; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;

დ.გ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ წინადადებებს, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებას (დებულებას);

დ.დ) ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თბილისის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;

დ.ე) თბილისის საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს;

დ.ვ) თბილისის საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებულ/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი;

დ.ზ) თბილისის საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;

დ.თ) ამ კანონის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;

დ.ი) უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და აღდგენას;

დ.კ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს



მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას;

დ.ლ) ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე;

დ.მ) მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე;

ე) აღმასრულებელი საქმიანობის სხვა სფეროებში:

ე.ა) მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სხვა პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას და განხორციელებას;

ე.ბ) შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს;

ე.გ) თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასს, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესებს;

ე.დ) ადგენს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ( $M_2$  და  $M_3$  კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტებს;

ე.ე) ადგენს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას დედაქალაქის ტერიტორიაზე შემომავალი ავტობუსების ( $M_2$  და  $M_3$  კატეგორიები) მოძრაობის მარშრუტებს;

ე.ვ) გასცემს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას;

ე.ზ) შეიმუშავებს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მშენებლობის ნებართვის ელექტრონული ფორ-



მით გაცემისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის წესებს;

ე.თ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ე.ი) უზრუნველყოფს ამ კანონის მე-16, მე-17 და 64-ე მუხლებით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობითა და თბილისის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით;

ე.კ) ახორციელებს თბილისის მერიის დებულებით, მთავრობის რეგლამენტითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 76. თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები**

1. თბილისის მერს ჰყავს პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) და მოადგილეები.

2. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) და მოადგილეებს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობებზე ნიშნავს თბილისის მერი. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების თანამდებობებიდან განთავისუფლების საკითხს წყვეტს თბილისის მერი.

3. თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების თანამდებობებზე დანიშვნაზე თანხმობას თბილისის საკრებულო გამოხატავს საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერით. თბილისის საკრებულოს თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში თბილისის მერი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში წარადგინოს იგივე ან ახალი კანდიდატურა. თუ თბილისის საკრებულო კვლავ არ გამოხატავს თანხმობას, თბილისის მერი უფლებამოსილია არაუმეტეს 3 თვის ვადით დანიშნოს თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) და მოადგილეების მოვალეობათა შემსრულებლები.

4. თუ თბილისის საკრებულომ ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პროცედურით თანხმობა არ მისცა თბილისის მერს

მისი პირველი მოადგილის (ვიცე-მერის)/მოადგილის დანიშ-  
ვნაზე, თბილისის მერი ვალდებულია მომდევნო 3 თვის ვადაში  
თბილისის საკრებულოს წარუდგინოს თბილისის მერის პირ-  
ველი მოადგილის (ვიცე-მერის)/მოადგილის ახალი კანდიდა-  
ტურა. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით  
განსაზღვრული წესი. თბილისის საკრებულოს თანხმობის მი-  
უღებლობის შემთხვევაში თბილისის მერის პირველი მოადგი-  
ლის (ვიცე-მერის)/მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად  
დაუშვებელია იმ პირის დანიშვნა, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნ-  
ქტის თანახმად ერთხელ უკვე ასრულებდა თბილისის მერის პირ-  
ველი მოადგილის (ვიცე-მერის)/მოადგილის მოვალეობას.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი პროცედუ-  
რები გრძელდება თბილისის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-  
მერის) და მოადგილეების დანიშვნამდე.

6. თბილისის მერის მოადგილე ფუნქციათა განაწილების  
შესაბამისად ხელმძღვანელობს თბილისის აღმასრულებელი  
ორგანოების უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ დარგებს;  
ორგანიზებას უწევს და აკონტროლებს თბილისის საკრებულოს,  
მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა აღსრულებას; თავი-  
სი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს; ასრულებს თბილი-  
სის მერიის დებულებითა და მთავრობის რეგლამენტით გათვალ-  
ისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

7. თბილისის მერის მოადგილეების თანამდებობრივი შეუთავსე-  
ბლობის, მათი უფლებამოსილებების შეჩერებისა და შეწყვეტის  
საკითხები განისაზღვრება ამ კანონის 58-ე და 59-ე მუხლების შეს-  
აბამისად.

## **მუხლი 77. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები**

1. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულები იქმნება ამ  
კანონით დადგენილი წესით, თბილისის მერიის დებულებით ან  
მასში შესაბამისი ცვლილებით, მთავრობის უფლებამოსილებისთ-  
ვის მიკუთვნებული სოციალურ-ეკონომიკური დარგების მართვი-  
სა და თბილისის მერიის საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღ-

ვანელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხს წყვეტს თბილისის მერი. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის მერის წინაშე.

3. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები განისაზღვრება ამ კანონის 76-ე, 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად.

4. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის უფლებამოსილებანი განისაზღვრება თბილისის მერიისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებებით.

**მუხლი 78. თბილისის ორგანოების საფინანსო კონტროლი და ზედამხედველობა**

1. თბილისის ორგანოების საქმიანობის შიდა აუდიტი და ინსპექტირება ხორციელდება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და თბილისის მერიის დებულების შესაბამისად.

2. თბილისის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით ირჩევს თბილისის საკრებულო. მისი არჩევის წესი ამ კანონის შესაბამისად განისაზღვრება თბილისის საკრებულოს რეგლამენტით.

**მუხლი 79. საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება**

1. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობა.

2. თბილისის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც მთავრობის კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ, ეკონომიკურ ან/და მთავრობის მიერ განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

3. თბილისის საკრებულო უფლებამოსილია დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი მშენებლობის ნებართვის გაცემის, ქალაქის ურბანული განვითარების კონცეფციის შემუშავებისა და მისი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის შესახებ შესაბამისი კვლევის ჩატარებისა და რეკომენდაციების მომზადების, ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის პროცესის უზრუნველყოფის ან სხვა მიზნით.

4. თბილისის საკრებულო უფლებამოსილია თავის მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მთავრობის წინადადებით დაუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით) განსაზღვრული საქმიანობის, მომსახურების ან/და დაჩქარებული მომსახურების, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემის მომსახურების, საფასურის ოდენობა.

5. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა.

6. მთავრობა უფლებამოსილია თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესი და პირობები.

7. თბილისის საკრებულო მთავრობის წარდგინებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აფუძნებს შესაბამისი ქონების გა-

დაცემით. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქონება გადაეცემა პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, ვადით ან უვადოდ, სარგებლობის უფლებით.

8. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია თავის საკუთრებაში არსებული ქონება უსასყიდლოდ გადასცეს თბილისს.

9. თბილისის საკრებულოს თანხმობით საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია თავის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობაში გადასცეს ამ კანონის XV თავითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის წესი განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდებით (დებულებით).

11. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

12. თბილისის საკრებულოს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში მის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის თბილისის საკუთრებაში.



**თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო –  
თბილისის რაიონის გამგეობა**

**მუხლი 80. თბილისის რაიონის გამგეობა**

1. თბილისის ადმინისტრაციულ ერთეულში – რაიონში იქმნება თბილისის მერიის ტერიტორიული ორგანო – თბილისის რაიონის გამგეობა (შემდგომ – რაიონის გამგეობა).

2. რაიონის გამგეობა შედგება სტრუქტურული ერთეულები-სგან. რაიონის გამგეობის სტრუქტურა და უფლებამოსილება განისაზღვრება რაიონის გამგეობის ტიპური დებულებით.

3. რაიონის გამგეობის საშტატო ნუსხას, თანამდებობრივ სარგოებსა და ტიპურ დებულებას თბილისის მერის წარდგინებით ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

4. რაიონის გამგეობის ხელმძღვანელია თბილისის რაიონის გამგებელი (შემდგომ – რაიონის გამგებელი). რაიონის გამგებელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი. რაიონის გამგებლის თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხს წყვეტს თბილისის მერი.

5. რაიონის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები განისაზღვრება ამ კანონის 76-ე, 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად.

**მუხლი 81. რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები**

1. რაიონის გამგეობის თანამდებობის პირები არიან:

ა) რაიონის გამგებელი;

ბ) რაიონის გამგებლის მოადგილე;

გ) რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

2. რაიონის გამგებლის მოადგილესა და რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგებელი.



## მუხლი 82. რაიონის გამგებელი

1. რაიონის გამგებელი უძღვება გამგეობის საქმიანობას, უზრუნველყოფს რაიონის მართვას, კოორდინაციას უწევს თბილისის მერისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

2. რაიონის გამგებელი თანამდებობრივად შედის მთავრობის შემადგენლობაში.

3. რაიონის გამგებელი:

ა) უნაწილებს ფუნქციებს გამგეობის ნევრებს; თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს;

ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რაიონის გამგეობის თანამდებობის პირებსა და რაიონის გამგეობის სხვა მოსამსახურეებს;

გ) უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას;

დ) თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს წარუდგენს საბიუჯეტო განაცხადს;

ე) ხელს აწერს რაიონის გამგეობის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; წარმოადგენს გამგეობას და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ვ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ზ) მონაწილეობს საქართველოს დედაქალაქის პროორიტეტების დოკუმენტისა და თბილისის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში;

თ) პასუხისმგებელია რაიონისთვის თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის;

ი) ამზადებს ინფორმაციას თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესრულების შესახებ და წარუდგენს თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

კ) ახორციელებს ამ კანონითა და თბილისის მერიის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. რაიონის გამგებელი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის მერის წინაშე.

**მუხლი 83. რაიონის გამგებლის მოადგილეები**

1. რაიონის გამგებელს შეიძლება ჰყავდეს არაუმეტეს 3 მოადგილისა.

2. რაიონის გამგებლის მოადგილეები რაიონის გამგებლის მიერ ფუნქციათა განაწილების შესაბამისად ხელმძღვანელობენ რაიონის გამგეობის უფლებამოსილებისთვის მიკუთვნიებულ დარგებს; ამზადებენ და რაიონის გამგებელს წარუდგენენ წინადადებებს შესაბამის დარგებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ; ორგანიზებას უწევენ და აკონტროლებენ რაიონის გამგებლის გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

3. რაიონის გამგებლის არყოფნის შემთხვევაში, ან თუ რაიონის გამგებელს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, მისი დავალებით რაიონის გამგებლის მოვალეობას ასრულებს რაიონის გამგებლის ერთ-ერთი მოადგილე.

**მუხლი 84. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები**

1. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები შესაბამისი სფეროების მიხედვით აღასრულებენ თბილისის საკრებულოს, თბილისის მერის, მთავრობისა და რაიონის გამგებლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში ხელმძღვანელობენ მოსახლეობის მომსახურების სხვადასხვა დარგს.

2. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები რაიონის გამგეობის დებულების შესაბამისად განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ტიპური დებულებით, რომელსაც თბილისის მერის წარდგინებით ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

3. რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

## მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

კანონში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ქვეყნის დემოკრატიულობის განსაზღვრისთვის **მეოთხე კარს**. დასახლებებში საზოგადოებრივი თვითმმართველობების ჩამოყალიბების საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა გარანტიაა თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობისა, შეუქცევადი პროცესი შეიძლება გახდეს თვითორგანიზების პროცესი. შედარებითი ანალიზისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი **მოსახლეობის თვითორგანიზების ინსტიტუტები როგორ გამოიყურებიან საზღვარგარეთის ქვეყნებში**. ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსახლეობის თვითორგანიზების ინსტიტუტები. ისინი წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის და მონაწილეობის ქმედით მექანიზმებს თემის დონეზე. 2009 წლის მონაცემებით ინგლისში სამოქალაქო სამრევლოა და მათი რიცხვი იზრდება. საერო სამრევლოები წარმოადგენენ ქვეყანაში დემოკრატიულად არჩეულ ყველაზე ქვედა საფეხურს და მათ გააჩნიათ მანდატი ესაუბრონ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს საკუთარი ამომრჩევლის სახელით, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული (დისკრეციული) უფლებამოსილება წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობა და განიოს სხვადასხვა სახის მომსახურება. სამოქალაქო სამრევლოები დღევანდელი სახით ჩამოყალიბდნენ ჯერ კიდევ 1894 წლის „ადგილობრივი თვითმმართველობის აქტის“ მიხედვით Local Government Act 1894) და შემდგომში მათი ფუნქციები და ჩამოყალიბების წესი საბოლოოდ დადგინდა 1972 წლის :ადგილობრივი თვითმმართველობის აქტით“ Local Government Act 1972) და შემდეგი ნორმატიული აქტებით. 2007 წელს კანონში შესული შესწორებების მიხედვით შესაძლებელია არსებობდეს სამოქალაქო სამრევლოს საბჭოს შემდეგი ტიპები:

- ადგილობრივი თემის საბჭო community council
- სოფლის საბჭო village council
- სამეზობლო საბჭო neighbourhood council